

მეცნიერებათა აკადემია

პროფესორი
შაველი სილაგაძე



6

1

მითაბ კალანდაძე

პროფესორი შუაბი სიღამონიძე



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2004

წინამდებარე ნაშრომი შეთხვევლს გააცნობს სწორუპოვარი ქართული ისტორიკოსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ უშანგი სიღამონიძის ცხოვრებას და მოღვაწეობას. წიგნი უძღვნება უშანგი სიღამონიძის დასაფლავების 75-ე წლისთავს. განყოფილია ისტორიკოსებისა და საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის

რედაქტორი	პროფ კოტე ანთაძე
რეკონსტრუქტები	დოც გივი ბოლოთაშვილი
	დოც ნანა ცხიხისთავი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004

© შ. კალანდაძე

ISBN 99940-12-63-0



უშანგი სიღამონიძე

2

3

4

5

ბიოგრაფიული ცნობები

პროფესორ უმანგი სიღამონიძის ცხოვრება და მოღვაწეობა არ ყოფილა საბჭოთა ისტორიკოსის, მკვლევრის ორდინალური, ჩვეულებრივი ბიოგრაფია, რომელიც აღსავსეა სამთავრობო ვილდობებით და მადლობებით პირიქით, ჭეშმარიტების ძიების გზაზე მას ბევრი სიძნელის დაძლევა მოუხდა და ვილდოდ, როგორც მრავალ მის-ნაირთ, კვლანი გვირგვინი დაადგეს „კეთილსინდისიერების და უნ-გარობის ერთადერთი საზღაური უმადურებაა“ და მან ეს უმადურო ბის ფიალა, შეიძლება ითქვას, ბოლომდე გამოსცადა

XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ ისტორიკოსთაგან ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მძლავრი და ხანგრძლივი ზეწოლა აღბათ არაგის განუცდია, როგორც ბატონ უმანგი სიღამონიძეს პარტიულ-პოლიტიკურმა ინსტანციებმა ტალ-ანი და ქვა არ დაიშურეს, მაგრამ ამაოდ დაშურნენ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ მათ მიერ ნასროლი ქვა პატივცემული უმანგის დიდების კვარცხლბეკად იქცა. ეს არცაა გასაკვირი – „სამართალმა პური ჭამა“, „ღრი ყველაზე უფრო ნამუსიანი კრიტიკოსია“ უმანგი სიღამონიძემ სცადა პრაქტიკულად განეზოციელებინა ცნობილი პრინციპი. – „ისტორიკოსის უპირველესი თვისებაა, იფოს მოუკერ-ძობელი“, რაც იმ ტოტალური ფელსოფიკაციის, გაყალბების პირობებში, რომელსაც საბჭოთა ისტორიოგრაფია სწადიოდა, ნამდვილ თავგან წირვას მოითხოვდა სწორედ ამითაა საინტერესო და ფასეული პროფესორ უმანგი სიღამონიძის შემოქმედება

თანამედროვე ფრანგი ისტორიკოსის, ეაკ ლე გოფის თქმით, – „როდესაც საზოგადოება თვლემს, ისტორიკოსი უნდა ფხიზლოდეს“ უშანგი სიღამონიძის წიგნი – „საქართველოს ბურჟუაზიულ დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის გამართულების ისტორიოგრაფია“, ვფიქრობთ, ამის ერთ ერთი საუკეთესო ნიმუში უნდა იყოს

რომაელი ისტორიკოსის, ამიანე მარცელიანეს შსგავსად, ყველა ისტორიკოსს როდი შეუძლია დაიტრამაზოს – „მე დაეთქვანე, რომ ჩემს ნაშრომში მომეტა ჭეშმარიტება და არსად, როგორც მე ვფიქრობ, შეგნებულად არ გადამიხვევია ამ დაპირებისგან მოქმათებით ანდა სიყრუით“ ამ თვალსაზრისით უშანგი სიღამონიძე ერთ ერთ ბედნიერ გამანაკლისად მიგვაჩნია

საზღვარგარეთულ ისტორიოგრაფიაში ფართოდ მოიკიდა ფეხი შეხედულებამ, რომლის თანახმადაც, „საბჭოთა კავშირში კომუნისტური რეჟიმის დროს თითქოს ღირებული არაფერი იქმნებოდა და მხოლოდ სტანდარტული გამოკვლევები იწერებოდა“ შორიდან მართლაც ასე ჩანს, მაგრამ თუ კარგად დაეუკვირდებით, აღმოვაჩნით, რომ სინამდვილე მრავალწახნაგოვანი და გაცილებით უფრო რთულია უშანგი სიღამონიძის მონოგრაფია ამის კარგი ნიმუშია

საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების გაზვიადება, შეღამაზება, გაიდალება, ცხადია, არ ღირს, მოძველებულია ყველი გაუვიდა და ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაქრავს – ეს ერთი უკიდურესობაა არის მეორე უკიდურესობაც საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიას ბუქი სათვალეებიდან უმზერენ და ცდილობენ ყველაფერი მიწასთან გაასწორონ ასეთი ნიპილისტური განწყობილება, ჩვენი აზრით, გამართლებული არ უნდა იყოს საჭიროა გამოძებნოთ შეაღებელი ხაზი. სათქმელი მარტლაც ბევრი დაგვიგროვდა ვისაუბროთ ცუდზე, მაგრამ ნურც კარგს დაევიწყებთ, – „წყალს ბავშვი არ გადავაყოლოთ“

რა თქმა უნდა, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ საბჭოთა ეპოქა ისტორიული აზროვნების განვითარების ერთ ერთი ყველაზე უფრო მძიმე, გაუსაძლისი პერიოდი იყო, მაგრამ რაღაც პოზიტორი მინაც ხდებოდა და ამაზე თვალის დახუჭვა გამართლებული არ უნდა იყოს

წვნი აზრით, საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსები, პირობით, სან ჯგუფად შეიძლება დაიყოს

1 რა თქმა უნდა, მათ უმრავლესობას წარმოადგენენ ისტორიკოსები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ სულისუფლების გული მოეკოთ და როგორმე ესაბოვნებინათ გაბატონებული იდეოლოგიისათვის. მათი შრომები, უპირატესად, კონონტრულულ ხასიათს ატარებდნენ და ძალიან სწრაფად იხვეჭდნენ პოპულარობას, მაგრამ, როგორც კი იცვლებოდა პოლიტიკური სიტუაცია, უმაღლესად კარგად ითავის ღირებულებას და აღარაფის აინტერესებდა

2 ქართველ ისტორიკოსთა ეს ჯგუფი იღებდა კონკრეტულ საკითხებს, რომელსაც ღრმად და ყოველმხრივ ამუშავებდნენ და აქცევდნენ მარქსისტულ აკემი თუ ამ შრომებს მარქსისტულ გარესამოსის ჩამოფარებას, მათში ღირებული უმჯობესად რჩება და ეს ფასეული უნდა გახდეს მეცნიერული მსჯელობის საგანი ეს ქნის მეცნიერული გამოკვლევისათვის მტკიცე საძირკველს

3 ისტორიკოსთა მცირე ჯგუფი არ ებუებოდა გაბატონებული იდეოლოგიის მარწუხებს და მტკიცედ იღვა ისტორიული ჭეშმარიტების დაცვის სადარაჯოზე, რაც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში გმირობის ტოლფასად მიგვაჩნდა ამ ჯგუფის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურას კი ბატონი უშანგი სიღამონიძე წარმოადგენს

* * *

უშანგი სიღამონიძე ოთხი ათეული წელი ერთგულად ემსახურა საქართველოში ისტორიული მეცნიერების განვითარებას ამ ზანგრძლივი პერიოდის მანძილზე მან ბევრი შესძინა ქართულ ისტორიოგრაფიას და არაერთი სერიოზული გამოკვლევით გაამდიდრა

უშანგი სიღამონიძე დაიბადა ქალაქ თბილისში, 1929 წლის 8 ნოემბერს დედა, ქალბატონი ნინო ზაალიშვილი პედაგოგი იყო, (დაამთავრა პედაგოგიური ტექნიკუმი), თუმცა პედაგოგად არასოდეს უმუშაუა მამა, იოსებ სიღამონიძე, ორი წელი სწავლობდა მოსკოვში გ პლეხანოვის სახელობის სახალხო მუერნების ინსტიტუტში, შემდეგ კი, ძირითადად, სამეურნეო სამსახურში იყო

1936 წელს უშანგი სიღამონიძე შევიდა თბილისის მე-7 სკოლაში, ხოლო მას შემდეგ, რაც ცალკე გაიყო ვაჟთა და ქაღთა სკოლები, გადავიდა რკინიგზის ვაჟთა მე-7 სკოლაში, რომელიც ოქროს მუდღაზე დაასრულა 1947 წელს. იმავე წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი წარჩინებით დაასრულა 1952 წელს

სტუდენტობის პერიოდში უშანგი სიღამონიძე აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის საზოგადოებრივ და, განსაკუთრებით კი, სამეცნიერო საქმიანობაში 1948 წლიდან ის იყო სტუდენტთა სამეცნიერო წრის აქტიური წევრი, სისტემატურად ესწრებოდა სამეცნიერო წრის სხდომებს და მოხსენებათა ირველივ გამართულ კამათში აქტიურ მონაწილეობასაც ღებულობდა, ამტკიცებდა საკითხის ღრმა კოდნას და მეცნიერული მსჯელობის უნარს თავდაპირველად ბ-ნ უშანგი ღიდ დაინტერესებს იჩნდა მსოფლიო ისტორიის თემატიკისადმი 1952 წელს მან სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება სავმაკის აჯანყებაზე ხელმძღვანელი გახლდათ ღოცენტი მთე ალექსიშვილი მოხსენება საინტერესო აღმოჩნდა და სპეციალისტების დადებითი შეფასება დაიმსახურა განსაკუთრებით ფასეული იყო საკითხის ისტორიოგრაფიის წინ წამოწევა, რაც მის მოხსენებას პოლემისტურ მუნტს მატებდა პირველად სწორედ მაშინ გამომტყაუნდა უშანგი სიღამონიძის ღტლუვა მეცნიერული კულევა-ძიებისადმი, რის გამოც მის მიერ მეცნიერებაში გადაღებული პირველი მოკრძალებული ნაბიგი წარ მატებულად უნდა ჩაითვაღოს

უშანგი სიღამონიძის მოხსენებას ვურადღება მაიქცია ღეაწლ მოხიღმა ისტორიკოსმა, პროფ გრ ნათაძემ, რომელიც გაესაუბრა ახალგაზრდას და უთხრა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია ვეე ღაფერს კლასიბრივი ბრძოღის ჭრიღში განიხიღაღდა, სინამდ ვიღეში კი სავმაკის იმპერატორბა სურდათ ამით მან ფაქტობრივად მაინიშნა, რომ ვეეღაფერი, რაც იბუღებუღი ვართ გითხრათ, ჭეეშმარტების უკანასკნელი ინსტანცია როღაიო და დასიშნა – „ბიღერი იღეოლოგიური წწეხის ჭეეშ ვიფიფებითო“

ნიშნადობღიღია, რომ მსოფლიო ისტორიის პრობლემას ეხება უშანგი სიღამონიძის საღიკლობო ნაშრობი – „ბაღდაღის რკინიგზის პრობლემა გერმანიის იმპერიაღიზმის პოღიტკაში“ ეს თემა

მას პროფ ალექსანდრე ნამირაძემ ან დოც ვარლამ ღონაძემ შეურჩია. შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი უმანგი სიღამონიძეს ასპირანტურაში დატოვებას, ამ თემაზე მუშაობის გაგრძელებას და საკანდიდატო დისერტაციის დაცვას ურჩევდნენ უმანგი სიღამონიძის სადიპლომო ნამრობმა სპეციალისტების უკრძალვება მიიპყრო და უმაღლესი შეფასება დაიმსახურა

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, გავეცნოთ იმ დახასიათებას, რომელსაც ხელს აწერდა ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი აკაკი სურგულაძე. აი რა წერია მასში. – „უმანგი იოსების ძე სიღამონიძე 1947 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, მოისმინა სრული კურსი და ჩააბარა ყველა საგანს საგანგებო საგანი ფრიადზე, დაიცვა სადიპლომო შრომა, ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები; იყო დისციპლინირებული სტუდენტი, ყველა საგანი დროულად ჩააბარა, აკადემიური დავალიანება არ ჰქონია, აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში ისტორიის ფაკულტეტი უ სიღამონიძეს ახასიათებს დადებითად“

ცხადი იყო, რომ უმანგი სიღამონიძის შემდგომი საქმიანობის ასპარეზი მეცნიერება იქნებოდა მან სწავლის გაგრძელება ასპირანტურაში გადაწყვიტა

ისე ჩანდა, თითქოს უმანგი სიღამონიძე სწავლას გააგრძელებდა ასპირანტურაში მსოფლიო ისტორიის განხრით, მაგრამ ეს ასე არ მოხდა რატომ? საქმე ის იყო, რომ იმ წელს მსოფლიო ისტორიის განხრით ასპირანტურაში ადგილი უნივერსიტეტში სათუო იყო ბნმა უმანგიმ გადაწყვიტა, შესულიყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში XX საუკუნის საქართველოს ისტორიის განხრით

1952 წლის შემოდგომაზე უმანგი სიღამონიძემ სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში, XX საუკუნის საქართველოს ისტორიის განხრით, აკადემიკოს გიორგი ზაქაძურძის ხელმძღვანელობით

1952-1955 წლებში უმანგი სიღამონიძე ასპირანტურაში სწავლობდა და თავაულებლად მუშაობდა საკვლეოფიკაციო ნამრობზე – „ამბერკაცასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა და მისი როლი

სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში (1921-1925 წწ)“, რომელიც მან წარმატებით დაიცვა 1956 წლის 3 ივლისს აქედან მოყოლებული, მისი საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, სადაც ის ოთხ ათეულ წელზე მეტ ხანს მუშაობდა და იღვწოდა

1956 წლის 1 ნოემბერს უშანგი სიდამონიძე დაინიშნა საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილების უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, ნახევარ განაკვეთზე, ხოლო, ცოტა ხნის შემდეგ, 1957 წლის 1 დეკემბერს გადაყვანილ იქნა მთელ განაკვეთზე, აქ მან დაყო 1961 წლის მიწურულამდე.

1961 წლის 15 დეკემბერს უშანგი სიდამონიძე საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილებიდან გადაყვანილ იქნა ისტორიის მეცნიერებათა ისტორიის განყოფილებაში ამის ერთ-ერთი მიზეზი პრინციპული უთანხმოება საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელთან, პროფ იური კაჭარაიასთან გახლდათ ერთხანს ის დაინიშნა ისტორიის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად თავისი მოვალეობის ეთილსინდისიერად შესრულებისათვის მან ინსტიტუტის ხელმძღვანელობისაგან მაღლობა მიიღო – „სწავლული მდივნის თანამდებობაზე ნაყოფიერი და ეთილსინდისიერი მუშაობისათვის უშანგი სიდამონიძეს უკუხადებ მაღლობას“ (ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი) თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო იმ ხანებში უშანგი სიდამონიძეს ხშირად უხდებოდა რუსეთში მივლინებებში წასვლა ეს ის პერიოდი იყო, როდესაც პარტია და მთავრობა გმობდა პროფესორების კულტს ბ-ნ უშანგის უფვარდა გასწენება იმისა, რომ „ასეთ დროს ჩემი რუსი კოლეგები, როგორც ქართველს, სიბრალულით აღსავსე თანაგრძნობით მიუერებდნენ და ვერც კი წარმოედგინათ, რომ ი სტალინის მოღვაწეობაზე დადებითი აზრის არასოდეს ვყოფილვარ“

1965 წლის 23 სექტემბერს უშანგი სიდამონიძე დაინიშნა მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე

უშანგი სიდამონიძის შრომითი საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ორ დიდ სამეცნიერო ცენტრთან ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც იგი 1969 წელს მი-

წვეულ იქნა ლექციების წასაკითხად ევროპისა და ამერიკის ქვე-
ნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრამ.

უშანგი სიღამონიძის სალიტერატო დისერტაციის დაცვა იმდროინ-
დელ ქართველ ისტორიოგრაფიაში ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა
იგი ამკარად გასცა წმინდა აკადემიურ, მეცნიერულ ფარგლებს და
მკვეთრად გამოკვეთილი იდეოლოგიური და პოლიტიკური დატვირთ-
ვა შეიძინა. ავტორი შეცვალა, დაეტოვა კომუნისტური იდეოლოგიის
ჩარჩოები და ობიექტურად წარმოვიჩინა XX საუკუნის საქართველოს
ისტორიის საკვანძო პრობლემები. ბუნებრივია, ამას მოსყვა მამინდელ-
ი კომუნისტური ელიტის დიდი გულისწყრომა და შედეგადაც არ
დაყოვნა; მოხდა უპრეცედენტო ფაქტი მის სამეცნიერო-საკვალი-
ფიკაციო საბჭოს მიერ მინიჭებული ხარისხი გაუქმება საქართვე-
ლოს კომუნისტური პარტიის ერთ-ერთმა პარტიულმა ინსტანციამ,
კერძოდ, – თბილისის კომიტეტმა ამის გამო შკაცრი საეკველური
მიიღეს ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკად გიორგი მელი-
ქიშვილმა, მისმა მოადგილემ, პროფ ნიკოლოზ სტურუამ, პარტორგა-
ნიზაციის მდივანმა, პროფ გრიგოლ მარგიანმა და წიგნის რედაქ-
ტორმა, პროფ პროკოფი რატანამ მათ, იმავდროულად მიუთითაი,
რომ ამგვარი „უმსგავსობა“ აღარ გამოირებულიყო უსამართლო
დევნამ, ცხადია, ღრმა კვალი დააჩნია უშანგი სიღამონიძის ჯანმრთე-
ლობას

1974 წლის 15 აპრილს ინსტიტუტის დირექტორის, აკად გიორ-
გი მელიქიშვილის ინიციატივით უშანგი სიღამონიძე დაინიშნა ახ-
ლად ჩამოყალიბებული სამეცნიერო ინფორმაციის განყოფილების
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო, მოგვიანებით
კერძოდ კი, 1975 წლის 29 მაისს ის დაამტკიცეს ამ განყოფილების
ხელმძღვანელად თითქმის მუთოხელი საუკუნის მანძილზე ედვა ის
სათავეში აღნიშნულ განყოფილებას 1989 წლის 29 დეკემბრის
დადგენილებით განყოფილებას შეეცვალა სახელი და ეწოდა „XX
საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიის და საქართვე-
ლოს ძველთა წუსხის განყოფილება“

ცოტა ხნით ადრე კი, 1988 წელს ის შეთავსებით გადაყვანილ
იქნა მუთოხედ განაკვეთზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
1993 წლის 1 ნოემბერს უშანგი სიღამონიძეს მიენიჭა თბილი-
ხის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის წოდება და იგი

გახდა ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის პროფესორი.

საგულისხმოა ის დახასიათება, რომელიც პროფ. უშანგი სიღამონიძეს, როგორც ლექტორს, მისცა ისტორიის ფაკულტეტმა 1992 წლის 10 მაისს მას ხელს აწერდა ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, პროფ. კარლო მეშველიანი. – „სიღამონიძე უშანგი იოსების-ძე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიისა და საქართველოს ისტორიულ მეფლთა წესხის განყოფილების გამგედ, არის ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი 1969 წლიდან უშანგი სიღამონიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე კითხულობს ლექციების კურსს ისტორიული მეცნიერების შესავალში, თავდაპირველად საათობრივი ანაზღაურების წესით, ხოლო, 1988 წლიდან არის 0,22 განაკვეთზე

ლექციების კურსი – ისტორიული მეცნიერების შესავალი, მაშინ, 1969 წელს, ახალი საქმე იყო და ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები პირველები იყვნენ, რომლებმაც ეს კურსი მოისმინეს, მაშინ არ არსებობდა პროგრამა, სახელმძღვანელოები და უ. სიღამონიძემ პირველმა შეადგინა ლექციების კურსის პროგრამა ორ ათეულ წელზე მეტია ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები ისმენენ ლექციებს ისტორიის თეორიასა და სპეციალურ ისტორიულ დისციპლინებში

1988 წლიდან უშანგი სიღამონიძე ისტორიის ფაკულტეტზე კითხულობს ლექციებს ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალ ისტორიაში (1870-1918) ეს კურსი ბოლო წლებში ძალზე გართულდა და შეიცვალა ადრე მიღებული დოკუმები და ლექტორები ძიებაში არიან, თუ როგორ გამართონ ახლებურად კურსი

უ სიღამონიძის ხელმძღვანელობით მომზადდა 15-ზე მეტი სადიპლომო ნაშრომი, რომელთა უმეტესობა სახელმწიფო-საგამოცდო კომისიამ „ფორაღზე“ შეაფასა უ სიღამონიძის ხელმძღვანელობით სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე მოსმენილ იქნა 5 მონსენება, უ სიღამონიძის ხელმძღვანელობით სტუდენტთა მიერ დაწერილი ნაშრომები იმით იყო გამორჩეული, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები განხილული იყო ევროპის ისტორიის

ფონზე და ისინი პირველები იყვნენ, ვინც ამ საკითხებს სწავლობდა, მათ მეცნიერულ მიმოხილვაში შემოიტანეს ასალი ისტორიული ფაქტები და წყაროები.

უ. სიღამონიძე არის კვალიფიცირებული ლექტორი, მისი ლექციები გამოირჩევა საკითხის ახლებური დაცვებით, ის ლექციებს კითხულობდა თანადროულობასთან მჭიდრო კავშირში. სტუდენტები მას ინტერესით უსმენდნენ აუდიტორია ყოველთვის ყურადღებით არის მის მიმართ.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი უშანგი სიღამონიძე მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მისი კვლევის სფეროა საქართველოს ასალი და უახლესი ისტორია, ისტორიული მეცნიერების თეორიის საკითხები უ. სიღამონიძის ნაშრომები გამოირჩევა პრობლემებისადმი მიდევამის სახელით ქართულ ისტორიოგრაფიაში მან მრავალი ასალი პრობლემა შემოიტანა, რომელთა ერთი ნაწილი დღეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში წარმატებით შეისწავლება“

პროფ უშანგი სიღამონიძე სტუდენტებში უდიდესი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტის ირმა ივანიძის მოგონება. „პირველი კურსის ხსენებაზე ჯერ არ ყოფილა, რომ, უწინარესად, ბ-ნ უშანგი სიღამონიძის სახელი არ წამოტიტევივებულიყო ჩემს გონებაში. იგი იყო ნამდვილი ისტორიკოსი, ღირსეული პიროვნება, რომელიც არა მხოლოდ ცოდნას გადმოგვცემდა, თუ საჭიროდ მიიჩნედა, საკუთარი ბიბლიოთეკიდან წიგნებსაც გვათხოვებდა ხოლმე სპეციალობის შესავალს გვიკითხავდა იგი ყოველთვის ინტერესით გვიცეხებოდა ისტორიულ პირებს, დაწერილებით გვესაუბრებოდა ისტორიის კვლევის მეთოდებზე და, რა თქმა უნდა, თვით ისტორიკოსის პროფესიაზე. ისტორიკოსს უნდა შეეძლოს დასკვნების გაკეთება, აი, მაშინ იქნება მისი ნაშრომი ღირებულო, დასძენდა ხოლმე ბოლოს სტუდენტთა ერთი ნაწილი მას დიდ პატივს ეცემდით პირადად მე კი არასოდეს არ ვაცდენდი ბ-ნ უშანგი სიღამონიძის ლექციებს, რადგან, რასაც იქ ვისმენდი, უდიდეს ხიამოვნებას მანი ვუბნა და მარწმუნებდა იმაში, რომ არ შეეცდარვარ, როცა მაინცდამაინც ისტორიის ფაკულტეტზე შევაგრე ჩემი არჩევანი

ბოლო წლები ბ-ნ უშანგის ეტყობოდა, რომ ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს, თუმცა ერთი საათიც არ გაუცდენია პირიქით,

ბევრჯერ დერეფანშიც გაუვრძელებია ჩვენთან საუბარი, როცა რომე ლიშე ჩვენთანაა რაიმე საკითხის მიმართ დაინტერესებას გამოუჩინდით, ბ-ნი უშანგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ისტორია პოლიტიკური შეცნირებაა იგი ლექციებზე ხშირად ახსენებდა მაკიაველის „მოავარს“ და გულმოდგინედ გვიხსნიდა მის მოძღვრებას ბ-ნი უშანგის განსაკუთრებით უფვარდა ახალი ისტორია და გვეტყოდა ხოლმე: – „მე ახალი ისტორიის სპეციალისტი ვარ“ „მევე ისტორიას“ ცოტათი ეჭვის თვალით უყურებდა, ხოლო ახალი ისტორიით გატაცებას კი, რასაკვირველია, დიდი რაოდენობით წყაროების, ღოკუ მენტების არსებობით ხსნიდა, და, მაინც, რაც ვეღვაზე უფრო მეტად მხიბლავდა ამ ადამიანში, იყო მისი პატრიოტული სულისკვეთება, ყოველ სიტყვაზე, სახეზეც კი, ამკარად რომ ეხატებოდა“

მართალია, დავიანებით, მაგრამ სამართლიანობა მაინც აღსდგა და 1990 წლის 3 ივლისს ბ-ნი უშანგი სიღამონიძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორატ დისერტაცია იმხანად მას ჯანმრთელობა უკვე შერყეული ჰქონდა, ბოლო მორალური ტრამევა საბოლოოდ დარჩა მის მესხიერებაში

აღსანიშნავია, რომ პროფ უშანგი სიღამონიძე საქართველოს უახლეს ისტორიაში უდიდესი ავტორიტეტი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირში და, ასე განსაჯეთ, ევროპაში მას იწვევდნენ სამეცნიერო კონფერენციებზე გერმანიაში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს მშვენიერი შანსი გამოუყენებელი დარჩა და მას საზღვარგარეთ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის შესაძლებლობა არ მიუცემია, მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 90-იან წლებში, იაპონურ ჟურნალ „ასახიში“ დაიბეჭდა ვრცელი საუბარი პროფესორ უშანგი სიღამონიძესთან

უშანგი სიღამონიძის ჯანმრთელობას, რა თქმა უნდა, დიდი ტრავმა მიყენა იმ დენამ, რომელიც სადოქტორო დისერტაციის დაცვას მოჰყვა მისი მეუღლე, ცნობილი ექიმი, პატივცემული ანა ლალიძე ვეულაფურს აკეთებდა, რომ ბატონი უშანგისთვის შრომისუნარიანობა შეუნარჩუნებინა და მისი სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა

1997 წლის ნოემბერში ქართველმა ისტორიოგრაფიამ მძიმე დანაკლისი განიცადა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 68 წლის ასაკში გარდაიცვალა პროფესორი უშანგი სიღამონიძე იგი დაკრძა-

ლეს საბურთალოს სასაფლაოზე; სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ პროფ ვაუშერ ოდიშელი, პროფ ნოდარ ნათაძე, პროფ გურამ ყორანაშვილი, პროფ კოტე ანთაძე პრესაში გამოქვეყნდა კოლეგების, მეგობრების, მოსწავლეების გამოსათხოვარი წერილები ერთი სიტყვით, განსვენებული მეცნიერის მიმართ თბილი სიტყვა არაფერ დაიშურა ეს იყო ისტორიული მეცნიერების წინაშე მისი წვლილის ღირსეული დაფასება

ბ-ნ უშანგი და ქ-ნ ანას ჰყავთ ერთი ქალიშვილი ქეთევან სიღამონიძე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს

ბ-ნი უშანგი იყო ღირსეული შვილი თავისი ოჯახისა, რომელმაც არა მარტო ის, არამედ მისი ერთადერთი ძმა, ცნობილი მეცნიერი ქიმიკოსი, პროფესორი შოთა სიღამონიძე გაზარდა ბ-ნი შოთა ვას-ლაეთ საზოგადოების ზაამაყო წევრი, რომელიც დიდი სიყვარულით სარგებლობს მათ შორის, ვინც იცნობს მის შემოქმედებას

თავი II

უშანგი სიღამონიძის პოეზიის ისტორიკოსად შორეობა

1952-1972 წლები უშანგი სიღამონიძის მეცნიერული მოღვაწეობის რთული და საინტერესო პერიოდი იყო ის ცდილობდა საკუთარი ადგილი ეპოვა ისტორიულ მეცნიერებაში, რაც, ცხადია, ადვილი საქმე არ გახლდათ

უშანგი სიღამონიძის მეცნიერული მოღვაწეობა პირობით ორ პერიოდად შეიძლება გავყოთ I უშანგი სიღამონიძის მეცნიერული მოღვაწეობის ოპტიმალური ხანა 1952-1972 წლები და 2 შერისხული და რეაბილიტირებული ისტორიკოსი – 1972-1997 წლები პერიოდებს შორის მნიშვნელოვანი ზღვარია 70-იანი წლების დასაწყისი, კონკრეტულად კი, 1970 წელი, როდესაც მისი ფუნდამენტური მონოგრაფია – „საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-1921 წწ.)“ გამოვიდა, რომელიც მან მოამწიფა, 1971 წლის 22 ივნისს წარმატებით დაიცვა, როგორც სადოქტორო დისერტაცია თავის მხრივ, ეს პერიოდები კიდევ რამდენიმე მონაკვეთად იყოფა

პირველი პერიოდი, ჩვენი აზრით, ოთხ მონაკვეთად შეიძლება გაიყოს უპირველეს ყოვლისა, ცხადია, უნდა აღვნიშნოთ უშანგი სიღამონიძის პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში ასპირანტურის დასრულება, საკანდიდატო დისერტაციის დაცვა (1952-1956) ამის შემდეგ საგულისხმო მიენა ჩანს, 1961 წელი, როდესაც უშანგი სიღამონიძე ტოვებს საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის

განყოფილებას და სამუშაოდ გადაღის ისტორიულ მეცნიერებათა განყოფილებაში

კიდევ ერთი სერიოზული ნიშანსვეტი, ცხადია, უნდა იყოს 1966 წელი, როდესაც გამოვიდა მისი საინტერესო გამოკლევა – „ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წ.)“, სადაც XX საუკუნის საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხები ახსლებურად, ნოვატორულადაა დასმული და გადაჭრილი. ფაქტობრივად ეს იყო პირველი გადაშტერება საქართველოს უახლესი ისტორიის ორიოდიქ-ხულ-პოლშევიკური გამუქების წინააღმდეგ უნდა მივიჩნიოთ, რომ უშანგი სიღამონიდის, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსის, ფორმირების პროცესი დასრულებულია.

მამ ასე, იკვთება შემდეგი სურათი. 1 მეცნიერული წარმატებები, ასპირანტურის დასრულება, საკანდიდატო დისერტაციის დაცვა (1952-1956 წწ.), 2 საკუთარი გზის ძიების პროცესი უშანგი სიღამონიდის, როგორც მკვლევარი ისტორიკოსის, პირველი ნაბიჯები (1956-1961 წწ.), 3 უშანგი სიღამონიქე იკვლის პროფილს, რაც იმით გამოისატება, რომ საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილებიდან გადაღის ისტორიული მეცნიერების განყოფილებაში აქ ის შეუდგა თემის შერჩევას სადოქტორო დისერტაციისათვის (1961-1966 წწ.), 4 შემოქმედებითი სიმწიფის ხანა, მეცნიერული წარმატების მწვერვალზე, ზენიტში (1966-1972 წწ.)

უშანგი სიღამონიდის მეცნიერული მოღვაწეობის მეორე პერიოდს მკვეთრად გამოკვეთილი მოგზა გააჩნია ეს არის 80-იან წლები-ის მიწურული, როდესაც საქართველოში ძალუმად დაქროლა გარდაქმნის და დემოკრატიზაციის სიომ კონკრეტულად კი, 1988 წელი, როდესაც გაზუთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა მისი ვრცელი სტატია 1918 წლის 26 მაისის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ – „ოქტომბრის პირში – გარდაქმნით დაბრუნებული“ მეორე პერიოდში იკვთება 1 რეპრესირებული ისტორიკოსი, როდესაც ის ძირითადად ისტორიული მეცნიერების შესავლის საკითხებს ამუშავებ და და პრაქტიკულად ჩამოშორებულია უახლესი ეპოქის საქართველოს ისტორიის თემატიკის კვლევას (1972-1988 წწ.) და 2 უშანგი სიღამონიდის, როგორც მკვლევარ-ისტორიკოსის სრული რეაბილიტაცია (1988 1997 წწ.)

* * *

უშანგი სიღამონიძის პირველ სერიოზულ მეცნიერულ წარმატებას, ცხადია, წარმოადგენდა საკანდიდატო დისერტაციის დაცვა საკვლელო-კაცო ნაშრომი ეხებოდა XX საუკუნის საქართველოს ისტორიის აქტუალურ პრობლემას – „ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა და მისი როლი სახალხო მუწურნობის აღდგენის საქმეში (1921-1925 წწ.)“ დაცვა შედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში

საჭოშო ოფიციალურ ოპონენტებად გამოყო პროფ აბელ კიკეძე და დოც აეთანდილ იოსელიანი, სადისერტაციო ნაშრომზე მათი დასკვნა დადებითი იყო სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ დაცვის მასალები, მათ შორის ოპონენტების რეკენზიები, ბევრი ვეხეთ, მაგრამ მათ კვალს ვერსად წაეაწვდით და, როგორც ეტყობა, ეს საინტერესო მასალა, შესაძლოა, დაკარგულიც კი იყოს ამ ხარვეზებს, ვეჭვობთ, ნაწილობრივ ავსებს ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელსაც მივაკვლიეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივში – „უშანგი სიღამონიძის შრომების დახასიათება“ ამ დოკუმენტს ხელს აწერენ პროფ პროკოფი რატკინი, პროფ გრიგოლ მარგინი და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ი ბაბალაშვილი. აი, რას ვკითხულობთ ამ დახასიათებაში – „ნაშრომში გამოკვეთილი ამიერკავკასიის (სიტყვა „ფედერაციის“ რატომღაც გამოტოვებულია – მ.კ.) შექმნის ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური და ეროვნული მიზეზები, ნაწევრება ამიერკავკასიის (ფედერაციის – მ.კ.) შექმნის პროცესი დიდი რაოდენობის საარქივო მასალის შემოტანით და გაანალიზებით ნაშრომში ნაწევრება ამიერკავკასიის ფედერაციის როლი სახალხო მუწურნობის აღდგენის საქმეში, რითაც დასაბუთებულია ამიერკავკასიის (ფედერაციის – მ.კ.) შექმნის აუცილებლობა, მისი ისტორიული მისია“ დახასიათება საყურადღებოა და იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მიერ უშანგი სიღამონიძის სადისერტაციო ნაშრომის აღიარება

სადისერტაციო ნაშრომის არქიტექტონიკა ნათლად მეტყველებს იმ უზარმაზარ, კოლოსალურ, საკვლევ სამუშაოზე, რომელიც დისერტანტს აქვს ჩატარებული და რომელიც სავსებით აკმაყოფილებს

არა მხოლოდ დამწეები მკვლევრისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, არამედ უფრო მეტსაც საღისერტაციო ნაშრომი მოიცავს მანქანაზე გაღებულ 360 გვერდს, შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან

საღისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ამირკაცკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობების, პლენუმების, კონფერენციების სტენოგრაფიული ჩანაწერები, სტატისტიკური მონაცემები, პრესა, ამავე დროს დიდი ყურადღება ექცევა სამეცნიერო მიმოქცევაში გამოუყენებელ წყაროებს, რომლებიც ღისერტანტის მიერ მოძიებულ იქნა საქართველოს კომუნისტურ პარტიასთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის არქივში და საქართველოს ცენტრალურ არქივში ღისერტანტმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა მრავალი საინტერესო წყარო და ფაქტი, ეს კი ახალგაზრდა დამწეები ისტორიკოსის ხერითიული მიღწევა იყო

საინტერესოა ამირკაცკასიის ფედერაციის შექმნისათვის ბრძოლის პერიოდიზაცია ავტორის აზრით, ეს ბრძოლა სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს 1 თავდაპირველად ზღუდა ამირკაცკასიის რეს პუბლიკების დასახლება სამეურნეო ნიადაგზე, რაც 1921 წლის შემოდგომამდე გრძელდებოდა, 2 1921 წლის შემოდგომიდან იწყება მეორე პერიოდი – ბრძოლა ფედერაციული გაერთიანების შექმნი სათვის, 3 1922 წლის ზაფხულიდან იწყება მესამე პერიოდი, რომელიც მიზნად ისახავს ამირკაცკასიის ფედერაციული რესპუბლიკის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლას ეს პერიოდი დასრულდა 1922 წლის მიწურულს

და ბოლოს, რაც მთავარია, საკანდიდატო ღისერტაციაზე მუშაობის პროცესში ის ხვეწნა, სრულყოფდა მეცნიერული კვლევის შეთოდებს ამ მიმართულებით მის წარმატებას, ვფიქრობთ, ვერაფერ უარყოფს მის მიერ მოხმობილი, გამოილენილი და განალიზებული უზარმაზარი ხაარქიუო მასალა ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს ამიტომ საკანდიდატო ღისერტაციაზე მუშაობას უმანგი სიღამონიძის, როგორც კვალიფიკირებული მკვლევარ-ისტორიკოსის, ფორმირების პროცესში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია

ამრიგად, უმანგი სიღამონიძის საკანდიდატო ღისერტაცია – ამირკაცკასიის ფედერაციის შექმნა და მესტრალი სახალხო

მეურნეობის აღდგენის საქმეში (1921-1925 წწ.)“ სავსებით აკმაყოფილებდა იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საერთო ღონეს ისტორიკოსის, რომელიც მეცნიერებაში პირველ ნაბიჯებს დგამს, მეტი არ მოეთხოვება – სწორედ ამ კრიტერიუმით უნდა შევაფასოთ მისი ნაშრომიც დღევანდელი გადასახელიდან წაუუწეროთ მას სხვა მკაცრი მოთხოვნები, მართებული არ იქნება

საკანდიდატო დისერტაციის დაცვა იყო აუცილებელი ეტაპი, რომელიც უმანგი სიღამონიძემ, შეიძლება ითქვას, წარმატებით და ბლია მან დახვეწა, სრულყო მეცნიერული კვლევის მეთოდები, რაც კარგად აისახა მის შემდგომ მეცნიერულ საქმიანობაში

ფრთხილად გამოეთქვამთ ვარაუდს, რომ საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობის პრბცესში, წყაროების გულმოდინედ შესწავლის შედეგად, შესაძლოა, უმანგი სიღამონიძეს გაუნდა პირველი ეტვი გაბატონებული იდეოლოგიის მიმართ შემდგომში ეს ეტვი კიდევ უფრო ღრმავდება და დასრულებულ სახეს იღებს მის სადოქტორო დისერტაციაში

საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ უმანგი სიღამონიძემ მუშაობა დაიწყო საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილებაში თითქოსდა მან გააკეთა თავისი არჩევანი, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ასე ჯანდა, მგრამ სინამდვილეში, როგორც ეტყობა, ეს ასე არ ყოფილა, რადგან მას გარკვეული უკმარისობის გრძნობა არ ტოვებდა

უმანგი სიღამონიძის პირველი გამოკვლევებიდან აღსანიშნავია 1959 წელს გამოქვეყნებული ორი ნაშრომი – „თბილისის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში“, რომელიც გადამუშავებული სახით 1964 წელს დაიბეჭდა რუსულ ენაზე კრებულში „თბილისის რევოლუციური წარსული“ და „ქალაქის თვითმმართველობის მოსმსახურეთა 1919 წლის მარტის გაფიცვა თბილისში“, რომელიც გამოქვეყნებულია ივ ვავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის V სამეცნიერო ხეხის მასალებში

შეიძლება ითქვას, რომ ორივე ეს ნაშრომი კარგად გამოხატავენ იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის სულისკვეთებას და მათ საეციაციისტების აღიარება ხვდით წილად მათი აზრით, „მეორე

ნაშრომში (ე. ი „ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა 1919 წლის მარტის გაფიცვა თბილისში“ – მ კ) ახლებურად არის შეფასებული თბილისის თვითმმართველობის მოსამსახურეთა 1919 წლის მარტის გაფიცვა ამ ისტორიული ფაქტის ახლებური შეფასება დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში – ნათქვამია დოკუმენტში „უშანგი სიღამონიძის შრომების დასასაიათებისათვის“, რომელსაც ხელს აწერენ ამ დარგის ცნობილი სპეციალისტები, რაც ავტორის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ

1960 წლის 15 აპრილს საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოში კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის გაერთიანებულ სესიაზე, რომელიც ეძღვნებოდა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს, უშანგი სიღამონიძემ წაიკითხა მოხსენება „ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა სოციალიზმის ეპოქაში“, რომელიც მომდევნო, 1961 წელს დაიბეჭდა ჯერ თურნალ „История СССР“-ის პირველ ნომერში, ხოლო შემდეგ კი გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომებში, მეხუთე ტომი, ნაკვეთი II

პუბლიკაცია ისეთ ავტორიტეტულ თურნალში, როგორც, უდავოდ, იყო „История СССР“, ქართული ისტორიოგრაფიის აღიარება. საკაც შორ პრესაში, იდეოლოგიურად რამდენადაც გამართული სტატია არ უნდა ყოფილიყო, თუ მას რაიმე მეცნიერული ღირებულება არ გააჩნდა, ისე არააინ დაგიბეჭდავდა. ეს უშანგი სიღამონიძის წარმატება იყო

უშანგი სიღამონიძემ დაინტერესება გამოავლინა მეორე მსოფლიო ომში ქართველების მონაწილეობის მიმართ 1961 წელს მან რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი – „Грузины - народные мстители“, რომელიც დაიბეჭდა სპეციალურ სამხედრო თურნალში „Вестник военно-научного общества“, მეორე-მესამე ნომერში უშანგი სიღამონიძე წინ წამოწევს ორ აქტუალურ საკითხს 1 ქართველების მონაწილეობა დიდი სამამულო ომის პარტიზანულ ბრძოლებში; 2 ქართველების მონაწილეობა ევროპის ქვეყნების წინააღმდეგობის

მოდრაბაში აღსანიშნავია, რომ ორივე თემის განხილვის დროს მოხმობილია შეტად მდიდარი ფაქტობრივი მასალა

საეკლესიოების აზრით, უშანგი სიღამონიძის ამ ნაშრომში, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, ურთიერთისგან არის განსხვავებული ქართველი პარტიზანების ბრძოლა ფაშისტური გერმანიის მიერ დაპყრობილ ჯეროპის ხალხების წინააღმდეგობის მოძრაობაში და საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პარტიზანულ ბრძოლებში – ვითხოვლობით „უშანგი სიღამონიძის შრომების დახასიათებაში“, რომელსაც ხელს აწერენ პროფ პროკოფი რატკიანი, პროფ გრიგოლ მარგანი და დოც ი ბაბაღაშვილი ეს ნაშრომი იმ კუთხითაც არის საინტერესო, რომ მას გარკვეული შეხების წერტილები აქვს მსოფლიო ისტორიაში

მეორე მსოფლიო ომის თემატიკით უშანგი სიღამონიძის დანიტრეხება ამით არ ამოიწურება და მან ქართული ისტორიოგრაფია ამ თემაზე დაწერილი კიდევ ერთი საინტერესო ნაშრომით გაამდიდრა, რაზედაც უფრო დაწერილებით ცოტა ჭკვეობით შექმნილებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს შრომები მისი მხრიდან, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება უფრო იყო, ვიდრე მეცნიერული ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ მან ამ მისიას ურიგოდ როდი გაართვა თავი

მარქსიზმთან მიმართებაში უშანგი სიღამონიძე ცდილობს, თავიდან აიცილოს ორი უკიდურესობა – მისი შრომები არ წარმოადგენს მარქსიზმის უსაზღვრო აბოლოვებას და არც მარქსიზმისადმი მტრული დამოკიდებულება იგრძნობა. ჩვენი აზრით, ყველაზე მართებული იქნება ამ ეტაპზე გაბატონებული იდეოლოგიისადმი უშანგი სიღამონიძის დამოკიდებულება ნეიტრალურად მივიჩნიოთ, იქნებ სწორედ აქ იყო ჩადებული მომავალი საფრთხე, ნელი მოქმედების ნაღმი –

ამრიგად, ვაჯამებთ რა ზემოთქმულს, ასეთი სურათი იკვეთება – შესაძლოა, ამ თემებისადმი მიდგომა ამჟამად ცოტა მოძველებული იყოს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ უშანგი სიღამონიძე ბრწყინვალედ დაეუფლა მეცნიერული კვლევის ხერხებს

* * *

ეტყობა, იმ ხანებში, 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლებ-ის დასაწყისში, უმანგი სიდაშინიძეს უკმარობის გრძნობა არ ტოვებდა. გარკვეულწილად ამით იყო გამოწვეული მისი უთანხმოება საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილების გამგეოსთან, პროფ იური გაჭარავასთან ამიტომ, 1961 წლის მიწურულს, მან გადაწყვიტა საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილებიდან გადასულიყო ისტორიული მეცნიერების ისტორიის განყოფილებაში, რომელსაც სათავეში ედგა პროფ პროკოფი რატაინი ამით მან ფაქტობრივად ორიენტაცია აიღო XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ისტორიოგრაფიის საკითხების დამუშავებაზე და იმდროე-ნებდა, რომ აქ, როგორც მკვლევარს, უფრო უკეთესი შესაძლებლობა ექნებოდა თავისი მდიდარი მეცნიერული პოტენციალის რეალიზაციისათვის, ვიდრე საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფი-ლებაში მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ ცხადყო, რომ ის თავის არჩევანში არ შეშვდარა, ფაქტობრივად აქ სრულდება უმანგი სიდა შინიძის მეცნიერული საქმიანობის საწყისი პერიოდის მეორე მო ნაკვეთი და იწყება მესამე ეტაპი, როდესაც ის კურსს იღებს ის ტორიოგრაფიული საკითხების კვლევაზე ყოველგვარ ეჭვს გაეშე უნდა იყოს, რომ ისტორიოგრაფიული თემატიკა გაცილებით უფრო მეტად შეესატყვისებოდა მის მეცნიერულ ინტერესებს, ვიდრე პარტიულ-პოლიტიკური პრობლემატიკა, რომელიც უმთავრესად დომინირებდა საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილებაში

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უმანგი სიდაშინიძე თავის შრომებში საბჭოთა ისტორიოგრაფიისგან განსხვავებულ შინაარსს ღებდა, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია აქ ახალი ისტორიოგრაფიული პრობლემატიკა, მაგრამ მათი გადაწყვეტა ტრადიციულია ეს არცაა გასაკვირი თვისობრივი ცვლილებები მის შემოქმედებაში ნელ-ნელა ხდება, თანდათანობით მიმდინარეობს ის ძველი ინერციით ჯერ კიდევ ნეიტრალიტეტს იცავს და არ არღვევს თამაშის იმ წესებს, რომელიც მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილებიდან ისტორიული მეცნიერების განყოფილებაში გადასვლამ უმანგი სიდაშინიძის შემო-ქმედებითი ფერისცვალების უცერტურად გაიფიქრა და დასრულბუ-ლი სახე მის სადოკტორო დისერტაციაში მიიღო

ამრიგად, საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილებიდან ისტორიის მეცნიერებათა ისტორიის განყოფილებაში გადასვლას უმანგი სიღამონიძის, როგორც პროფესორული მკვლევარი-ისტორიკოსის, ფორმირების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება.

1962 წელს გამოვიდა უმანგი სიღამონიძის საინტერესო ნაშრომი – „ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდგომ პერიოდში რომელიც დაიბეჭდა კრებულში – „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა და ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია“ იმავე წელს გამოქვეყნდა უკრაინაში „История СССР“, მესამე ნომერში ჩვენი აზრით, ეს ისტორიოგრაფიული ხასიათის გამოკვლევა, უმანგი სიღამონიძის, როგორც დამწევები ისტორიკოსის საუკეთესო ნაშრომად უნდა მივიჩნიოთ ნაშრომი აჯამებს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მიერ განვლილ გზას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ უმანგი სიღამონიძე თავის ნაშრომში ამფაგრებს ქართული ისტორიოგრაფიის ფართო სპექტრში ღრმა ჩახედულობას, მის საფუძვლიან ცოდნას, რაც ამ ნაშრომის ერთ-ერთი ღირსებაა.

1964 წელს ხელნაწერის უფლებით გამოქვეყნდა ნაშრომი – „ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია“, რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი მრავალტომეულისა – „საბჭოთა კავშირში ისტორიული მეცნიერებების ისტორიის ნარკვევები“ ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვითარების ერთი დიდი მონაკვეთი უმანგი სიღამონიძის დაწერილია, სადაც განხილულია საქართველოში გამოქვეყნებული ისტორიული გამოკვლევები, რომლებიც შეეხება საქართველოს ისტორიას 1953 წლის შემდეგ დღეს შეიძლება უმანგი სიღამონიძის ნაშრომის პათოსი ყველამ არ გაიზიაროს, მაგრამ ისტორიოგრაფიულ საკითხებში მის ღრმა ჩახედულობას, ალბათ, ვერავინ უარყოფს უმანგი სიღამონიძის ამ ნაშრომს ადინმული პრობლემის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის.

1965 წელს უმანგი სიღამონიძემ არჩილ ჯინჭველაძესთან ერთად გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომი – „ქართველების მონაწილეობა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პარტიზანულ

ბრძოლებში“, რომელიც დაიბეჭდა კრებულში – „ქართული დივიზიების საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში“ მეორე მსოფლიო ომის თემატიკას მან ვურადღებდა ჯერ კიდევ მაშინ მაქცია, როდესაც საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის განყოფილებაში მუშაობდა და ახლა ძველი ინერციით ისევ გააგრძელა ეს საქმე.

უშანგი სიღამონიძის ამ ნაშრომმა შემდგომი პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ვურადღება მოიპოვა და დადებითი შეფასებაც მიიღო საეციკლოპედიის ღრმა რწმუნით, ეს ნაშრომი ამ პირობებში სადღეობის მიხედვით ლიტერატურაში ერთ ერთი საუკეთესოა. „ჩვენთვის საინტერესო საკითხს შედარებით ვრცლად და საეციკლოპედიულ ეხებიან ერთობლივ ნაშრომში ა ჯინჯველაძე და უ. სიღამონიძე. ხსენებულ ავტორთა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საკითხის შესწავლის საქმეში, მაგრამ მათ ნაკლოვანებებიც გააჩნიათ, რაც, ძირითადად, განპირობებულია წყაროთმცოდნეობითი ბაზის სიფიქროვით დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ. პარტიზანული მოძრაობის ისტორიის შესწავლისათვის აუცილებელი საარქივო მასალა გარკვეულ დრომდე ხელმიუწვდომელი იყო მკვლევართათვის ეს გარემოება დიდი სიძნელის წინაშე აყენებდა მეცნიერებს და გარკვეულ დღეს ასეაღმა მათ ნაშრომებს“ – დასძინს პროფ. ვასტანგ ვურული თავის წიგნში – „ქართველების მონაწილეობა პარტიზანულ ბრძოლებში საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში“.

უშანგი სიღამონიძის ორი ისტორიოგრაფიული ნაშრომი ფაქტობრივად წარმოადგენს მოსამზადებელ სამუშაოს მიზის სადოქტორო დისერტაციისათვის, რომელიც სულ მთლიანად ისტორიოგრაფიული ხასიათისაა. თავის ისტორიოგრაფიული ხასიათის შრომებში იგი კარგად გაეცნო ამ სახის გამოკვლევების დაწერის მანერას, სტილს, ხასიათს თუ როგორ დაეუფლა იგი ცველაფერს, ეს ნათლად ჩანს მიზის სადოქტორო დისერტაციიდან.

ისტორიის მეცნიერებათა ისტორიის განყოფილებაში გადასვლის შემდეგ ის შეუდგა სადოქტორო დისერტაციისათვის თემის შერჩევას და ვურადღება მიაპყრო ფრიად აქტუალურ პრობლემას – „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-

1921 წწ)“ ცხადია, მუშაობის პროცესში ეს თემა კიდევ უფრო გამოიკვეთა, დაიხვეწა

საუბრაულოა, რომ მან საღოქტორო დისერტაციაზე მუშაობა დაიწყო 1963 ან 1964 წელს როგორც ეტყობა, იგი საკმაოდ გულმოდგინედ შეუდგა საქმეს და უკვე 1966 წელს გამოქვეყნდა ამ საკითხზე მისი პირველი სოლიდური ნაშრომი – „ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან“ (1917 წ) ფაქტობრივად, ამით მთავრდება უშანგი სიღამონიძის მეცნიერული მოღვაწეობის ოპტიმალური ხანის შესაბამე ეტაპი და იწყება მეოთხე – სიმწიფის ხანა

* * *

თავისი ნაშრომზე – „ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წ)“ უშანგი სიღამონიძემ ჯერ 1966 წელს მოხსენების თეზისების სახით წარადგინა ივანე ჯავახიშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, ხოლო შემდეგ, 1968 წელს, უკვე გაფართოებული სახით გამოაქვეყნა კრებულში – „ქართული ისტორიოგრაფია“ ფაქტობრივად, ეს ნაშრომი წარმოადგენდა წინასწარ ინფორმაციას, რომელსაც შემდეგ მონოგრაფიის გამოცემა და საღოქტორო დისერტაციის დაცვა მოჰყვა, პრაქტიკულად ამ სტატიაში ჩადებული იყო ნული მოქმედების ნაღმი, რომელიც შემდგომში მთელი ძალით უნდა ამოქმედებულიყო – მართლაც ასე მოხდა

მეცნიერულ წრეებში უშანგი სიღამონიძის აღნიშნული ნაშრომის გამოხელას ერთგვაროვანი რეაქცია არ ჰქონია, მას გამოუჩნდნენ როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები განსაკუთრებით აყვანდნენ ტრადიციული, ტრადიციული მიღების მიტყფილური, პარტიის ისტორიკოსები ფრად ნიშანდობლივად მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია, რომელიც განთავისუფლდა ერთი იდეოლოგიის მონოპოლიისაგან, უშანგი სიღამონიძის დასახელებულ ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევს – „ქართული სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ამ საყოველთაოდ ნეგატიური შეფასების ფონზე, ერთადერთი გამოწაკლისი იყო უშანგი სიღამონიძის უაღრესად საინტერესო, მით უფრო, იმ დროისთვის თავისი

ობიექტურობით გამორჩეული წერილი „ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წ.)“

შველევარმა ჩვენი დროის ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა მითითა, რომ ფედერალისტური პარტიის რაობის დასადგენად საჭირო იყო იმ ევოლუციის გათვალისწინება, რომელიც აღნიშნულმა პარტიამ განიცადა, სწორედ ამ მომენტის გათვალისწინებამ უსიღამონიძეს საშუალება მისცა გაეკეთებინა დასკვნა, რომ სოციალისტურ-ფედერალისტთა პარტია წარმოადგენდა არა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურს, როგორც ეს მანამდე იყო მიჩნეული, არამედ ტიპურ წერილბურჟუაზიულს (და დემოკრატიულ პარტიას) „ეს იყო ომის შემდგომი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ფედერალისტური პარტიის ობიექტური შეფასების პირველი ცდა, რომელიც, ცხადია, არაეის (იგულისხმება საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია – მკ) გაუზიარებია“ – წერს პროფ დიმიტრი შველიძე თავის წიგნში – „პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები“

ფედერალისტური პარტიის რეაბილიტაციის სათავეებთან უშინგი სიღამონიძე დგას ეს იყო საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში XX საუკუნის საქართველოს ისტორიის აქტუალური პრობლემების არატრადიციული, არატრაფარეტული შეფასების ერთერთი საუკეთესო ნიმუში, ასეთი მიდგომა კი უშინგი სიღამონიძის ამ ნაშრომში მრავლადაა

უშინგი სიღამონიძის, როგორც პროფესიონალი ისტორიკოსის, ფორმირების პროცესი დასრულებულად უნდა მივიჩნიოთ უშინგი სიღამონიძე ნელ-ნალა შეუევა მეცნიერების შვეკრვალების დასალამქრად მიმავალ ბილიკებს

დაწვებული კვლევის ლოგიკური დაგვირგვინება იყო 1970 წელს გამოქვეყნობა „მეცნიერების“ მიერ უშინგი სიღამონიძის სოლიდური მონოგრაფიის გამოქვეყნება – „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-1921 წწ)“, რომელიც მან მომდევნო, 1971 წელს ბრწინვანდალად დაიცვა, როგორც სადოქტორო დისერტაცია ეს იყო XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის შინშენულოვანი მიღწევა, რომელმაც უშინგი სიღამონიძეს საესებით

სამართლიანად დაუმკვიდრა სწორუპოვარი იტორიკოსის სახელი და, ამაღლოულად, დიდი გულისტკივილი, მძიმე სულიერი ტრავმა მოაყენა. უმანგი სიღამონიმე თავიხებურ კამიკატელ მოგვევლინა მეცნიერებაში. მან სცადა აეფეთქებინა საქართველოს უახლესი ისტორიის ტრაფარეტული, ორიოდიოქსულ-მარქსისტული გაშუქება, მაგრამ ამ ყუშმარასთან ერთად თვითონაც კინალამ აფეთქდა ეს იყო უმანგი სიღამონიბის მეცნიერული მოღვაწეობის პიკი, ზენიტა, რაც საუბრის ცალკე თემაა.

ფ

.

.

!

წიგნი მესამე (III) მწიგნობარი

1970 წელს გამოვიდა პროფესორ უშანგი სიდაშინიძის მონოგრაფია – „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია“ ამ წიგნის მნიშვნელობა კარგად რომ გაეფიქროთ, აუცილებელია მოკლედ გადავავლოთ თვალი იმას, თუ რა მდგომარეობაში იყო იმ დროს XX საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლა

„რა თქმა უნდა, უარყოფით როლს ასრულებდა იდეოლოგიური მონოპოლიზმი, ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზების არაკომპეტენტური ჩარევა და სხვა ამისთანანი, ამ ფაქტორების გავლენას ნაკლებად განიცდიდნენ ძველი და შუა საუკუნეების პრობლემატკაზე მომუშავე სპეციალიტები, მაგრამ მათ ზემოქმედებას ვერც ისინი გადაურჩნენ ამ პერიოდზე მომუშავე სპეციალისტები ზედმეტად გულმოდგინედ (თუმცა სრულიად გულწრფელად, ძალდატანების გარეშე) ნერგავდნენ ისტორიული პროცესების მარქსისტულ ინტერპრეტაციას – მათთან შეიშნევა ტრაფარეტული სქემები, კლასობრივი ბრძოლის ფაქტორის გადაჭარბებითი შეფასება და სხვ

განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა ახალი და უახლესი ისტორიის დარგში, თითქმის დაკანონდა ისტორიული სურათის აგება „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების“ თხზულებებიდან მოტიანილი ციტატებით, XX ს-ის 30-იანი წლებიდან დაწყებული კი, ჩვენი ისტორია წარმოდგინდებოდა პარტიულ ყრილობაზე გენერალური მღვინის საანგარიშო მოხსენების სქემით ხუთწლიანი გეგმის შეს

რულება – მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის განვითარება, ხალხის კულტურის დონის ამაღლება, მშრომელთა კეთილდღეობის ზრდა და სხვ „ისტორია“ აივსო ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებიდან და გაზუთებიდან გადმოწერილი მასალით, ხალხის მონაწილეობა ისტორიულ პროცესებში ამ იმწერებოდა მათი შრომით და საბრძოლო ერთობიანობის დასურთებით, ამას ერთვოდა მიმოხილვა ჩვენი მოღწევებისა კულტურისა და მეცნიერების დარგში რა თქმა უნდა, არავითარ ანალიზს იგი არ შეიცავდა და ჩვეულებრივ, ჩვენი მოღვაწეების გვარებისა და მათი შრომების მშრალი ჩამოთვლა იყო ..“ – გულისტკივილით დასძინდა ღვაწლმოსილი მეცნიერი, აკად ვიორგი მელიქიშვილი აი, ასეთი იყო უშანგი სიღამონიძის წიგნის და სადოქტორო დისერტაციის დაკვის წინ არსებული ფონი

ვინ დაარღვევდა 20 საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლის სფეროში არსებულ იდეოურ ვითარებას? ასეთი მუდღერიების დამრღვევის როლში უშანგი სიღამონიძის წიგნი მოგვევლინა, იგი მოწმუნდოდა ცაზე მუხის გაეარნდად გაისმა იგი თავის წიგნში შეეცადა XX საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხის – საქართველოში დემოკრატიული მოძრაობისა და გასაბჭოების არატრადიციულად, არატრადიციულად გაშუქებას გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამით უშანგი სიღამონიძემ საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში თვისობრივად ახალი ფურცელი გადასმა ღა უშანგი სიღამონიძის წიგნის გამოსვლა და სადოქტორო დისერტაციის დაცვა ქართულ ისტორიოგრაფიის განვითარებაში ეტაპობრივ მოვლენად იქცა

უშანგი სიღამონიძის ეს არაორდინალური ნაბიჯი მოულოდნელი არ ყოფილა და წლების მანძილზე შეიფდებოდა მამაბელობა, ადვილი გზით სიარული მას, როგორც მოქალაქეს და მკვლევარს, არ ახასიათებდა ერთი იდეოლოგიის მონოპოლიის სულისმეზღუთველი გარემო, ცხადია, მას სერიოზულ დისკომფორტს უქმნიდა, რომელიც სხვადასხვა ფორმით მელაენდებოდა, ზან იგი ლატენტურ, ფარულ ხასიათს ატარებდა, ზან კი ამ ფარულებს სცილდებოდა მნიშვნელოვნწვილად ამით იყო გამოწვეული უთანხობება საქართველოს უანს ღესი ისტორიის განყოფილების გამგესთან, პროფესორ თუნი კატარავას

თან, რის გამოც ბ-ნ უშანგიმ სხვა განყოფილებაში გადასვლა გადაწყვიტა ეს არ იყო უბრალო პიროვნული დაპირისპირება, ამ უთანხმოებას ღრმა ფენები ჰქონდა და პრინციპულ სასიათი ატარებდა ეს იყო აზროვნების ორი სტილის დაპირისპირება – საქართველოს უახლესი ისტორიის ორთოდოქსულ-მარქსისტული გააზრება და საკითხებისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება

უშანგი სიღამონიძის წიგნის გამოხელამ უშალ მიიპყრო სეციალისტების ურადლება, ნაშრომის ძირითადი დებულებების ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა რელიეფურად ყველაზე უფრო საღოქტორი დისერტაციის დაცვის პროცესში გამოჰქადაგნდა, მიეყვეთ თანმიმდევრულად

1968 წლის 26 მარტს ისტორიის ინსტიტუტში ისტორიის მეცნიერებათა ისტორიის განყოფილებაში გაიმართა სხდომა, სადაც განიხილეს უშანგი სიღამონიძის მონოგრაფიის გამოქვეყნების საკითხი სხდომის ოქმს მიეკვლიეთ საქართველოს პრეზიდენტის არქივში დოკუმტ შოთა ხათათემ აღნიშნა, რომ „ნაშრომი შესრულებულია ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი გეგმით და თავის დროზე ინდივიდუალური ანგარიშის დროს, ეს ნაშრომი არაერთხელ ყოფილა განყოფილების სხდომებზე სერიოზული მეცნიერული მსჯელობის საგანი ნაშრომი დაწერილია კარგად, მრავალი ახალი, ჩვენს ისტორიოგრაფიაში დღემდე სელუსლებელი საკითხია წინ წამოწეული. ასეთი სახის ნაშრომი ჩვენს საზოგადოების ინტერესს გამოიწვევდა საჭიროდ მიმანია მისი დაბეჭდვა ცალკე წიგნად“

არჩილ ბარამიძემ განაცხადა, რომ „განსახილველი ნაშრომი განყოფილების გეგმით არის შესრულებული და მას კარგად იცნობს ნაშრომი მეცნიერულად ღირებულია და საჭიროა მისი გამოცემა“

6 როდონაის თანახმად – „უ სიღამონიძის ნაშრომი ძალად მეცნიერულ ღონეზეა შესრულებული და მისი გამოქვეყნება წიგნის სახით საჭიროდ მიგეანია“

ამ განყოფილებაში უფრო მეცნიერული ატმოსფერო სუფედა, ვიდრე საქართველოს საბჭოთა პერიოდის განყოფილებაში, ამიტომ ადვილი გასაგებია, თუ რატომ გადამოვიდა უშანგი სიღამონიძე აქ – ისტორიული აზროვნების ისტორიის განყოფილებაში

1970 წლის მონოგრაფიის გამოსვლის შემდეგ უმანგი სიღა მონიძემ გადაწყვიტა მისი სადოქტორო დისერტაციად დაცვა

1970 წლის 27 ნოემბერს ისტორიული მეცნიერების ისტორიის განყოფილების სხდომაზე განხილულ იქნა უმანგი სიღამონიძის ნაშრომისათვის მშველლობის მიცემის საკითხი ნაშრომის შესახებ თავისი დადებითი აზრი გამოთქვეს არჩ ბარამიძემ, პრ რატკინამა, ოქშს თან ერთვის პროფ. ცეცილია კალანდაძის და დოც გრიგოლ მარგანიის დადებითი რეცენზია დასკვნაში აღნიშნულია. – „ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს, უმანგი სიღამონიძის მიერ ჩატარებული შრომა დადებითად შეეფასოსთ წიგნის ავტორი თავისებოთ იმსახურებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ძიებულ ხარისხს“

ნაშრომის ოპონენტად განყოფილებამ რეკომენდაცია გაუწია პროფ ნ მახარაძეს, პროფ ა. სურგულაძეს, პროფ ნ სტურუას თითქოსდა წიგნის წამკვლევის ყველა პირობა სახეზეა არსებობს წიგნზე დადებითი რეცენზიები, მაგრამ მოუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ უმანგი სიღამონიძის წიგნის გამოცემა უმტკივნეულოდ არ მომხდარა და რიგი სიძნელეების დაძლევისთან იყო დაკავშირებული აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ არ თვლებდა მთავლიტი ამ დაწესებულების ხელმძღვანელმა, პატიცემულმა გივი ვარდოსანიძემ ასეთი პოზიცია დაიკავა – „მე შემბოლია გარკვეულ დათმობებზე წაიფიდე, მაგრამ ამ დათმობებს აქვს თავისი საზღვარი, რომლის იქითაც მე ვერ წაივალ“ უმანგი სიღამონიძეს დიდი არტყენი არ ჰქონდა. ის იძულებული იყო გარკვეულ დათმობებზე წასულიყო – ტონი შერბილებინა, სათქმელი კარგად შენიღბა, ეზოპეს ენაზე ესაუბრა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის წიგნს არ გამოსცემდნენ და ამით ყველაფერი დამთავრდებოდა, ქართული ისტორიოგრაფია დაკარგებდა ერთ საინტერესო, ორიენტილურ გამოცემას

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნაშრომის სათაური – „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-1921 წწ)“ პრაქტიკულად აქ ის ეზოპეს ენით საუბარზე გადადის, სინამდვილეში კი ავტორი განიხილავს საქართველოში დემოკრატიული მოძრაობისა და გასაბჭოების ისტორიოგრაფიას, მაგრამ, ბუნე-

ბრეია, მაშინ, 1970 წელს, უშანგი ხიდაშინიძე ამას ხმამაღლა ვერ იტყოდა და ამიტომ სათაურის უფრო ლოიალურ ვარიანტზე შეტერდა

განყოფილების სხდომაზე განხილვის შემდეგ საკავალიერაკაციო ნაშრომისათვის მსვლელობა უნდა მიეცა იმანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა შედგა 1971 წლის 19 იანვარს არსებობს სხდომის ოქმი, რომელიც ინახება საქართველოს პრეზიდენტის არქივში სხდომა მეტად მნიშვნელოვნად წარმართა, სხდომაზე დისერტაციის ირგვლივ მწვავე კამათი გაიმართა და კულუარებში არსებული უთანხმოება საშეკაროზე გამოვიდა.

ერთი შეხედვით, ასეთი გართულება თითქოსდა მოულოდნელი ჩანდა სადისერტაციო ნაშრომზე არსებობდა განყოფილების დადებითი რეცენზია, რით დაიმსახურა ისტორიული მეცნიერების ისტორიის განყოფილებამ ასეთი უნდობლობა? ნუთუ მათი დასკვნა არაკომპეტენტური იყო? რა თქმა უნდა, არა! თუნდა „ლიტერატურნაია გრუზიაში“ გამოქვეყნდა პროფ 6 სტურუას დაღვთითი დასკვნა. წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით ასეთი გამწვავების რეალური საფუძველი არ არსებობდა და, მაინც, მოუხედავად ამისა, ასეთი აზრთა სხვადასხვაობა შემთხვევითი არ ყოფილა და მას წმინდა აკადემიური მოტივები კი არა, პოლიტიკური კონიუნქტურა ელი საფუძველად

ეს სხდომა, პირველ ყოვლისა, იმ თვალსაზრისით იყრობს ყურადღებას, რომ აქ უშანგი ხიდაშინიძის დისერტაციის ირგვლივ გარ ადებული კამათი მეცნიერული სფეროდან საბოლოოდ გადატანილ იქნა პოლიტიკური კონიუნქტურის სფეროში ეს ტენდენცია ლაიკ მოტივად გასდევს უშანგი ხიდაშინიძის ნაშრომის ირგვლივ ამტყდარ პოლემიკას და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მის პოლიტიკურ სიმწვავეს

უ. ხიდაშინიძის ნაშრომის წინააღმდეგ გამოხვლას ტონი მისცა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, აკად ანდრია აფაქიძემ მისი დამოკიდებულება უშანგი ხიდაშინიძის სადისერტაციო ნაშრომის ადმი მკვეთრად, გამოკვეთილად ნეგატიურია იგი საგულდაგულოდ უკლის გვერდს უშანგი ხიდაშინიძის წიგნის დაღვთით მხარეებს, კინიტს არ ძრავს აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში

უ სიღამონიძის პოზიტიური წვლილზე, ამუქებს საქმის ეთარებას და ირწმუნება, რომ მისი შეხედულებით, უმანგი სიღამონიძის ნამ რომი არ არის შესრულებული ისე, რომ ის სადოქტოროდ გამოდგეს – ავტორს არქარება ეტყობაო მისი ღრმა რწმენით – „ამ უმანგი სიღამონიძის წიგნი არ აკმაყოფილებს ისტორიის ტენიერებათა დოქტორის სატენიერო ხარისხის მოსაპოვებლად გამიზნული ნამ რომის მოთხოვნილებას ასარქარებელი არაფერია, გადააკეთოს ნამ რომი, შეავსოს, შეასწოროს ის და შერე წარადგინოს, ეს იქნება ნამდვილი დახმარება დისერტანტისათვის“

სრულიად საპირისპირო მოსაზრება გააჩნია უმანგი სიღამონიძის წიგნზე პროფ პრ რატაიანს ის შეეცადა გაეფანტა თავუ-დომარის ეტყები მოუესპინით მას – „გაკვირებას იწვევს, თუ საიდ არის თავუდომარის ასეთი დინტერესება, საკითხების და პირველწყაროთა ასე დაწერილებით გაცნობა, სხვა შემთხვევაში თავუდომარეს ასედი რამ არ გაუკეთებია, რატომ მინცდამაინც ასლა მოკიდა ხელი უმანგი სიღამონიძის ნამრომს ეს ჩვენი განყოფილების მიმართ უნდობლობა წიგნი ჩვენმა განყოფილებამ მოიწონა სპეციალისტები ჩვენ ვართ და ჩვენ თავს არ ვაძლევთ უფლებას არქეოლოგიაში ჩავერიოთ და არქეოლოგიური ნამრომის შეფასება ვიკისროთ

პროფ ი კაჭარავას მიაჩნია, რომ წიგნი მეთოდოლოგიურად მანკერია და პოლიტიკურად მანება, მსეავსი აზრი გამოთქვა ილია მირცხულავამ ერთ-ერთ შერებაზე, მაგრამ უფლებს მოგვეცით ჩვენც ვთქვათ ჩვენი აზრი ამ წიგნზე ეს არის შესანიშნავი მონაპოვარი ქართული ისტორიოგრაფიის უკანასკნელ წლებში და ამას მსე-ულობა უნდა მოეცეს“

საინტერესო სურათია – სპეციალისტებს მოსწონთ, არასპე-ციალისტებს – არა

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ შეცდომაში შევეხნილთა შორის აღმოჩნდა პროფ ზურაბ ანნაბაძე იგი ნამრომისათვის მსეულეობის მიტემის წინააღმდეგი იყო და ამტკიცებდა, რომ – „უ სიღამონიძის წიგნის ამ სახით გამოცემა შეცდომაა და მით უფრო, დანამუღლია მისი მიღება სადოქტოროდ“ მან სრულიად უმართებულოდ დასდო ბრალი უმანგი სიღამონიძეს სოციალ-ფედერალიზმის აპოლოგიაში

ასეთი განცხადებები, ნებისთი თუ უნებლიედ დოკუმტიკოსთა, ორთოდოქსულად მოაზროვნე მარქსისტთა წინააღმდეგ ასახმდა წყაღს

აკად გიორგი მელიქიშვილი, პროფ პროყოფი რატკანთან ერთად, უშანგი სიღამონიძის მოძრერეთა ლიდერად უნდა მიეწინით აკად გიორგი მელიქიშვილმა განაცხადა, რომ – „არავის არა აქვს უფლება მონოპოლია გამოაცხადოს მარქსიზმის ცოდნაზე. ჩვენ ყველას გვაქვს უფლება ჩვენი შეხედულება გვეჩინდეს წარმოდგერილ ნაშრომზე ავტორი აქ არ გვესწრება და ნაშრომის ავტორიანობაზე ლაპარაკი აქ უადგილია. მე შხარს ეუჭურ ისტორიოგრაფიის განყოფილების წინადადებას – მიეცეთ ნაშრომს მსვლელობა და სადაეო საკითხები გამოვიდეს სადისკუსიოდ საჯარო პაქრობაზე“ მან დასვა საკითხი, კენტი იყარათ მისი წინადადებისათვის

რეტროგრადული სულსცვეებით იყო გამსჭვალული პროფ გრიგოლ ბრეგაძის და პროფ ერმელ ახოპაძის გამოხვლა. ორივე ერთხმად ირწმუნებოდნენ, რომ „წიგნში პრინციპული მეთოდოლოგიური და პოლიტიკური შეცდომებია და მისთვის მსვლელობის მიცემა შეცდომა იქნებოდა, არსებითად გაყალბებულია ბოლშევიზმის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი საფეხური და გაზუიადებულია სოცი ალ-ფედერალიზმის და სხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა წვეერების რეალი

ამ წიგნისათვის მსვლელობის მიცემა შეცდომაა, ის ავტორს უნდა დაუბრუნდეს და თაემუდომარის წინადადება მიეილოთ ნაშრომის შესწორება-მეცხების მიზნით დაბრუნების შესახებ“

აქ ყოველგვარი კომენტარისაგან თავს შევიკავებდით და გვახსენდება მწერლის რეპლიკა – „გრიმა ბიძია გაილიძე, დეპოში ხარ“ ამასთან დაკავშირებით საინტერესო იყო პროფ ელვარდ მენაბდის რეპლიკა. მას არ გაკვირვებია ვერ ბრეგაძის და ერ ახოპაძის გამოხვლა, პირიქით, მისი ღრმა რწმენით, ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ძნელი არაა ამ ნათქვამში ერთგვარი ირონია რომ მეცნიერთ ედ მენაბდისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა ა აუაქების პოზიცია, მისი ისოლენ დიდი დინტერესება.

ლოც ვ გომევიშვილმა სკადა თაემუდომარის დაკვა, მაგრამ უშანგი სიღამონიძის ნაშრომისათვის მსვლელობის მიცემას შხარი მაინც დაუჭირა

ცხარე კამათის შემდეგ სამეცნიერო საბჭო ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდა

1 მიეცეს მსვლელობა უმანგი სიღამონიძის ნაშრომს, 2 ოფიციალურ ოპონენტებად დამტკიცდნენ განყოფილების მიერ რეკომენდებული პირები 1 პროფ ე მახარაძე 2 პროფ ნ სტურუა, 3 პროფ ა სურგულაძე, 3 ნაშრომი დასკვნისათვის გადაეცა ზაეროს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალს

თავდაპირველად, პროფ ნიკო მახარაძე დათანხმდა ყოფილიყო ოფიციალური ოპონენტი, მაგრამ შემდეგ როდესაც შეატყუო, რომ საჭმე გამწვავდა, შეეშინდა და უარი განაცხადა ოპონენტობაზე. მის მაგივრად ოფიციალურ ოპონენტად აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კონსტანტინე წერეთელი როდესაც გაკვირვებულმა ნოღარ ნაკაშიძემ ქეთხა ბ-ნ ნიკოს, რატომ თქვა უარი ოფიციალურ ოპონენტობაზე მაშინ, როდესაც არაოფიციალური ოპონენტობა მაინც იკისრა, დამაეკრებელი პასუხი ვერ მოისმინა ეს ნაბიჯი შემთხვევითი არ იყო პროფ ნიკო მახარაძემ არაოფიციალური ოპონენტობა იმიტომ იკისრა, რომ კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა თავისი ერთგულება გამატირებული იდეოლოგიისათვის

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორმა, პროფ დევი სტურუამ უმანგი სიღამონიძის ნაშრომი სარეცენზიოდ გადაუგზავნა პარტიის ისტორიის სექტორის მისმა ხელმძღვანელმა პროფ ვლადიმერ მურცილაძემ ნაშრომი სარეცენზიოდ გადასცა პროფ გრიგოლ ფანასი, რეცენზია სექტორის სხდომაზე განხილულ იქნა 1971 წლის 16 აპრილს

რეცენზია შეიღ გვერდს შეიცავს და დასკვნა დადებითია – „ასეთია ძირითადში წყნი შენიშვნები, ვვარაუდობთ, რომ ის გარკვეულ ჩრდილს აყენებს ნაშრომს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დოც უ სიღამონიძის სადოქტორო დისერტაცია წარმოადგენს ადინშნული პრობლემის დამუშავების პირველ მცდელობას და შეიცავს ბევრ ღრმად გაზარებულ და მეცნიერულად დასაბუთებულ მოსაზრებებს, უფლებას ვიტოვებთ განვაცხადოთ, რომ წიგნი უშთაყრთხვად აკმაყოფილებს სადოქტორო დისერტაციისათვის წაყენებულ

მოთხოვნებს აქედან გამომდინარე, ჩვენ შესაძლებლად მიგვანია მისი დაშვება საჯარო პაქტობისათვის“ გრ ფენიას აზრით – აქველა პრობლემის უფრო ღრმად და ობიექტურად განხილვისათვის, სასურველი იქნებოდა ჩვენს მიერ გამოთქმული შინაშენები გათვალისწინებულ იქნეს წიგნის მეორედ გამოცემის ღირს“

დაცვა დაინიშნა 1971 წლის 22 ივნისს და აქ განაღებულ იქნა რესპუბლიკის გამო საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა პროფ უმ ანგი სიღამონიძის პირად არქივში ინახება დისერტაციის მსუელელი ბის სტენოგრაფია, რომელიც ერთ მოზრდილ წიგნს შეადგენს და სულ 277 გვერდია

რატომ მიიღო უმანგი სიღამონიძის სადოქტორო დისერტაციამ ასეთი ფართო რეზონანსი? რატომ დაირაზმა ასე ერთსულოვნად ისტორიკოსთა ერთი ნაწილი, უპირატესად პარტიის ისტორიის სპეციალისტები, მის წინააღმდეგ? საქმე ისაა, რომ „თუ ვინმე არატრად იცოდეს მუდგებოდა ამ ეპოქის (ე. ი. საქართველოს XX საუკუნეის – მ. კ.) ისტორიის ამა თუ იმ მოვლენის გაშუქებას, მას ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოების რისხვა ატყდებოდა თავს ამის მავალითა უმანგი სიღამონიძის წიგნის ირველივ ატყვილი ვაქანალია 1970 წელს „წიგნი, სხვათა შორის, ებღენებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის (1918) ისტორიოგრაფიას და შეიკავდა დოგმატიკოსებისათვის გაუგონარ თეზისს ამ ფაქტის პროგრესულობის შესახებ“ – შინაშენადა თავის ინტერვიუში აკად გიორგი მელიქიშვილი უმანგი სიღამონიძის სადოქტორო დისერტაციის ირველივ ამტყდარი ხმური ამკარად გასცდა წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და პოლიტიკური დატვირთვა მიიღო

უაჭველად დიდი შინაშენილია ენიჭებოდა პირადულ მომენტს – თუ შენ აღიარებდი ამ ნაშრომს, მაშინ მათი შრომები ყოველგვარ მეცნიერულ ღირებულებას კარგავდა ეს იყო გაბატონებული კონსერვატიული ჯგუფი მაქსიმალურად სარგებლობდნენ იმ გარემოებით, რომ საბჭოს თავმჯდომარე იყო მათი თანაგუნდელი, არქეოლოგი ანდრია აფაქიძე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის, რაც ა. აფაქიძემ ილაპარაკა, ამ ჯგუფის დაწერილი იყო ამ მანაკში მყოფი ადამიანების სახე ნათელია, სამწუხარაა მხოლოდ ის, რომ მათ რეგეში აღმოჩნდა პროფ ზურაბ ანაბაძე.

რაც შეეხება ამ დისერტაციის პროგრესულ გუნდს, ისინი, მარ თალია სიფრთხილით, მაგრამ დადებითი შეფასებას აძლევდნენ უმან გი სიღამონიძის ნაშრომს ამ დისკუსიის მტრული ისრები არა პირდაპირ მიმართული იყო ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის აკად გიორგი მელიქიშვილის წინააღმდეგ ეს იყო მეტად მოხერხებული მომენტი – აი, რანაირ ხელმძღვანელობას უწევს ინსტიტუტსო

ეს მდელის ერთი მხარეა, მაგრამ მედლას აქვს მეორე მხარეც ამ დისკუსიას აქვს სხვა ფართო საექტრი, რომელიც მდის ქვეყნო ბიერად, ზედაპირზედ არ ჩანს ისტორიული ფაქტის ნორმალურ გაშუქებას დრო სჭირდება შენობის კვლელთან ახლო თუ დაღებში, შენობას მთლიანობაში ვერ აღიქვამ, საჭიროა ოდნავ დამორაღე კვლელს და გარკვეული დისტანციიდან შეხედო შენობას ეს თეორია საკამათია, აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები ამჯერად ამის გარჩევა ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს ამ თეორიას ეხმინება ერთი ფრად მნიშვნელოვანი გარემოება ნორმალური სახელმწიფოები პრაქტიკულად მთელ წყაროებს, საარტიყო მასალას მკვლერისათვის ხელმისაწვდომს ხლიან 50 წლის ვასელის შემდეგ დაახლოებით დაემთხვა ამ თარიღს უმანგი სიღამონიძის წიგნი გავიდა 50 წელი და დაისვა საკითხი, შეიძლება თუ არა ახლა ჩვენ ეწარმოთ მეცნიერული კვლევა 50 წლის წინანდელი მოვლენებისა რეტროგრადებმა ამ კითხვას უარყოფითი პასუხი ვასცეს, ხილო პროგრესისტებმა კი – დაღებითი

აკად გიორგი მელიქიშვილმა კარგად შენიშნა თავის ინტერვიუში – „ურდა ითქვას, რომ ამ მხრივ უარყოფით გავლენას ჩვენს შემაკეპზე ახდენდა საარტიყო მასალების ხელმოწვდომლობა – არტიკების ბევრი ფონდი დაკეტლი იყო ეს დაბრკოლება მნიშვნელოვან წილად დღესაც არ არის გადალახული“

უმანგი სიღამონიძის ნაშრომი წარმოადგენს პირველ სერიოზულ სიმპტომს იდეოლოგიის სფეროში სოციალიზმის რღვევის თაობაზე.

შესავალი სიტყვის შემდეგ გაიმართა პაექრობა. სიტყვა ვადეცა ოფიციალურ ოპონენტს, პროფესორ აკაკი სურგულაძეს რეცენზია მოიცავს გადაბეჭდილ 12 გვერდს და მასში გამოწველივით არის განხილული დისერტაციის ღირსება-ნაკლოვანებები, გამოთქმულია შენიშვნებიც დასკვნა დაღებითია. – „მოუხედავად ამ შენიშვნებისა,

ჩვენ უყოფმანოდ ვშუამდგომლობთ უმანგი სიღამონიძისათვის მიუბუღლი ხარისხის მინიჭებას მთავარი, ჩვენი ღრმა რწმენით, მდგომარეობს იმაში, რომ დისერტანტი შესანიშნავადაა მომზადებული, გაანია ანალიტიკური აზროვნების უნარი, გვევლინება ორიგინალურ და მამაც მკვლევარად და სულაც არ ემინია იმ შედეგების, რომელსაც გამოიწვევს ეს სიმამაცე მის კოლეგებს შორის“

კიდევ უფრო პოლემისტური იყო შვირე ოპონენტის, პროფ კოტე წერეთლის გამოხვლა, რომლის რეცენზია 48 გვერდისაგან შედგებოდა და უმთავრესად საუბარი იყო ნაშრომის სუსტ მხარეებზე. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ მიხი დასკვნა დადებითია, პატივცემული ოპონენტი თავის ამ გადწყვეტილებას ასე ასაბუთებს – შეიძლება წამოიტყვას საკითხი, რატომ ვყანი მე მიზანშეწონილად ამ ნაშრომის გამოტანა საჯარო განხილვაზე? აქ არის სხვადასხვა მიზეზები და მოსაზრებები.

- 1 ინსტრუქციის თანახმად, დისერტანტს, მიუხედავად რეცენზიის ხასიათისა, უფლება აქვს წარადგინოს თავისი ნაშრომი საჯარო პაქრობაზე;
- 2 დისერტანტი უ სიღამონიძე კარგად ერუდირებული მეცნიერ-მუშაკია;
- 3 წიგნის გასწორება აუცილებელია, რაც უ სიღამონიძისათვის დიდ სიმძლეს არ წარმოადგენს;
- 4 სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე კიდევ უფრო კარგად გამომტკანდებოდა მონოგრაფიის დადებითი და ჩრდილოვანი მხარეები, გამოირკვევა საკითხები, რომლებიც კამათს იწვევენ

ცხადია, ოპონენტი დასკვნაში ცდილობს, შეარბილოს რეცენზიის სიმწვავე და, რაც მთავარია, არ აძლევს უარყოფით დასკვნას.

ოფიციალური ოპონენტის, პროფ ნიკოლოზ სტურუას რეცენზია 19 გვერდს შეიცავს და დეტალურად განიხილავს უმანგი სიღამონიძის ნაშრომის დადებით და უარყოფით მხარეებს ოპონენტის დასკვნა დადებითია. „ეს და სხვა ნაკლოვანი მხარეები არ ატარებს პრინციპულ ხასიათს ეს არის ზღვაში წვეთი იმ ღირსებებთან შედარებით, რომლებიც აღნიშნულ ნაშრომს გააჩნია

დასასრულ, აუცილებლად უნდა დავსაზნოთ, რომ უ სიღამონიძემ საესებით შეძლო, დამაჯერებლად ქვეყნებნა საქართველოს ისტო-

რული მეცნიერების მიღწევები, თავისებურებანი, სირთულეები, ნაკლოვანებები -

უ სიღამონიძის მონოგრაფია წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს XX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხის დამუშავების საქმეში, მან გამოამჟღავნა ისტორიული ანალიზის სპეციფიკის ღრმა ცოდნა, პროფესიული გაგება.

ველეაფერი ეს საშუალებას მძლევს, ვიშუამდგომლო სამეცნიერო სამუშაოს წინაშე უ სიღამონიძისათვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების თაობაზე.

მე მაქვს ერთი თხოვნა სამეცნიერო სამუშაოს წინაშე, იმის გათვალისწინებით, რომ რუსულ ენაზე ქართული ისტორიოგრაფიის შესახებ ლიტერატურა თითქმის არ არსებობს, ვთხოვთ მივიღოთ დადგენილება უ სიღამონიძის აღნიშნული მონოგრაფიის რუსულ ენაზე გამოქვეყნების შესახებ“

როგორც იტყვიან, აქ ყველგვარი კომენტარი ზედმეტია, რეცენზენტი საკმაოდ მაღალი აზრისაა უ სიღამონიძის მონოგრაფიაზე. ოპონენტების შენიშვნებს დისერტანტმა დამაუკრებელი პასუხი გასცა, კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა აღნიშნულ საკითხში მისი ღრმა ჩაზღვრულობა, ცრდნა, საკმისადმი პროფესიონალური მიდგომა საკმარისია აღინიშნოს, რომ ეს პასუხები გადაბეჭდილი 177 გვერდია, რაც, პრაქტიკულად, ერთი ცალკე ნაშრომაა

ოპონენტებთან პეკრობის გასრულების შემდეგ სიტყვა ითხოვეს სამეცნიერო სამუშაოს წვერებმა. კამათი ახალი ძალით ვაჩაღდა, რომლის ინიციატორად ინფორმაციის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ ი მირცხულავა მოგვევლინა

მირცხულავას უმანგი სიღამონიძის წიენი არ მოსწონდა და არც მალავდა მისი გამოსვლა წარმოადგენდა ყველგვარ მეცნიერულ არგუმენტებს მოკლებულ პაზელუს უმანგი სიღამონიძის წიენზე, რომელიც მიზნად ისახავს მიწასთან გაასწოროს, ძირფესვიანად მოთხაროს უ სიღამონიძის ნაშრომი. იგი ამ შემთხვევაში დღემატციოს თა პარტიის ლიდერის როლში მოგვევლინა, მისი გამოსვლა საკითხის ორთოოქსუსულ-მარქსისტული გაგების საუკეთესო ნიმუშია.

ი მირცხულავა საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს უ სიღამონიძის წიენის განქრეებას მისი დამოკიდებულება უ სიღამონიძის გამოკვლევისადმი მკვეთრად ნეგატურია, ხოლო დასკვნა - უარყოფითი.

„როგორც ვხედავთ, უ სიღამონიძის წიგნი არ შეესატყვისება თავის დანიშნულებას“ – დისქენს პროფ ი მირცხულავა, ე. ი გულისს მამს იმას, რომ ნაშრომი არ პასუხობს პოლიტიკური კონიუნქტურის მოთხოვნებს

ყურადღებას იმართობს ორი რეპლიკა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პროფ ი მირცხულავას გამოსვლის დროს აკად გიორგი მელიქიშვილის რეპლიკა ასეთი იყო – „იქნებ თქვენ ბრძანით დადებ ითხეც“, ხოლო პროფ გრიგოლ მარგიანის დაინტერესსა – „დასაწყისში თქვენ ბრძანეთ, რომ საღისურთაყო ნაშრომი თითქოსდა ანოტაციების კრებული იყოს, შემდეგ თქვენ დაიწვეთ კონცეფციის გარჩევა, რომელიც წარმოდგენილია მასში (ე. ი უ სიღამონიძის წიგნში – მ კ.) მთელი თქვენი გამოსვლა ნათელყოფს, რომ წიგნი დატვირთულია ისტორიული კონცეფციით“ ვერც ერთ რეპლიკას პროფ ი. მირცხულავამ დამაჯერებელი პასუხი ვერ გასცა აკად გიორგი მელიქიშვილს მან ასე უპასუხა – „გეტყვით დადებითსაც უქვეყლია, რომ ავტორმა ჩაატარა ძალზე დიდი სამუშაო და თუ ნაშრომი დაწერილი იქნებოდა მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან, კარგი იქნებოდა“ მთელი დასაჯერებელია, რომ უ სიღამონიძის წიგნს მხოლოდ ის პქონდა დადებითი, რომ მასზე უზარმაზარი შრომა იქნა გაწეული ვრ მარგიანის რეპლიკასე კი პასუხი ძალიან მოკლე იყო – „დას, მგრამ ეს კონცეფცია მცდარია“ ერთია რომ ავტორს კონცეფცია არა აქვს და სულ სხვაა, როდესაც მცდარი კონცეფცია გააჩნია მცდარი კონცეფცია არ ნიშნავს კონცეფციის არქონას ამკარაა, რომ პროფ ი მირცხულავა წინააღმდეგობაში ვარდება რაც შეეხება ბრალდებას, რომ ნაშრომი მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან არ არის დაწერილი, დღევანდელი გადასახვდიდან ღიმილის მომგვრელია სწორედ ამასეა ნათქვამი – სატირალი რომ არ იყოს, – სასაცილოა.

პროფ ილია მირცხულავას მხარს უბამს პროფ ნიკოლოზ მახარაძე, რომელსაც მისი გამოსვლის შემდეგ ითხოვა სიტყვა იგი დისერტანტს, როგორც მეცნიერს, საკმაოდ დადებითად ახასიათებს და მასში ხედავს „კარგად მოშალეულ მეცნიერ მუშაკს, რომელსაც გააჩნია ცოდნის ფართო დიპაზონი“, მგრამ მის ნაშრომზე მარცხდამაინც მაღალი აზრის არაა ცხადია, პროფ ნიკოლოზ მახარაძის დასკვნა უ სიღამონიძის ნაშრომზე უარყოფითია – „ჩემი

შეხვედლებით აქ გამოთქმული შენიშვნების დიდი ნაწილი არსებითაა, პრინციპულ ხასიათს ატარებენ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ აქ არის უნებლედ შეცდომები, ღრმად მწამს, რომ მისი სახით საჭმე გვაქვს სერიოზულ მეცნიერ მუშაკთან სადისერტაციო ნაშრომს ესაჭიროება საფუძვლიანი გადამუშავება იმ შენიშვნების გათვალისწინებით, რომლებიც გამოთქვა საჯარო პაექრობის მსვლელობაში“

როგორც ვხედავთ, გამოშვებულების მიერ პრაქტიკულად იგნორირებულია აღნიშნული პრობლემის შესწავლის საკითხში პროფ უშანგი სიღამონიძის პოზიციური წვლილი ასეთი მდგომარეობით. ძალიან პოლიტიზირებული და იდეალიზირებული იყო მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მათ გამოხვედლებში რეალური ვითარება გამჟღავნებულ იქნა

აღსანიშნავია, რომ საბჭოს წევრების მეორე ნაწილს უშანგი სიღამონიძის ნაშრომზე დიამეტრალურად განხიზვავებული აზრი ჰქონდათ ამ თვალსაზრისით, საინტერესოა პროფ პროკოფი რატკინის, რომელიც, სხვათა შორის, უშანგი სიღამონიძის წიგნის რედაქტორიც იყო და დოც გ ჯანგველაძის გამოსვლა

პროფ პ რატკინი თავის გამოსვლაში ხაზს უსვამს, წინ წამოსწევს უ სიღამონიძის ნაშრომის დადებით მხარეებს და, საერ თოდ, ნაშრომზე საკმაოდ მაღალი აზრისაა მას ეროვნულ საკითხში უ სიღამონიძის პოზიციან საეხებით მართებულად ესახება და დასკვნის – „ჩემი ღრმა რწმენით, დისერტანტმა შეიტანა ღირსეული წვლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, მისი ნაშრომი აღვიძებს აზრს, მიყვარათ წინ, აღრმავებს ისტორიული გამოკვლევის მეთოდს აქედან გამომდინარე, უშანგი სიღამონიძე ღირსია იმის, რომ მას მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო წოდება“

პროფ პ რატკინის მიერ დაწვებული საჭმე წარმატებით გაავრძელა მისმა უკეროანმა კოლეგამ, დოც გ ჯანგველაძემ ის თავის გამოსვლის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ მას მოეწონა უშანგი სიღამონიძის წიგნი და მას მაღალ შეფასებას აძლევს – „უშანგი სიღამონიძის წიგნი „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-1921 წწ)“ მაღალ მეცნიერულ-თეორიულ დონეზე შესრულებული და უშანგი სიღამონიძე ამ ნაშრომისათვის საეხებით იმსახურებს ისტორიული მეცნიერების დოქტორის მიზებულ ხარისხს“

ამეც დროს გ ვანგეველაძე პოლემიკაში შედის წინარე გამოშვებულვებთან, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, პროფ ილია მირცხულავასთან და პროფ ნიკოლოზ მახარაძესთან – „ჩვენი აზრით, ზოგიერთი ოპონენტი არ არის მართალი უფრო მეტიც, ზოგიერთი „პრალდება“, რომელიც წაუყენეს დისერტანტს, ყოველგვარ საფუძველსა მოკლებული“ დისერტანტთან პოლემიკის დროს ერთი ოპონენტი ირწმუნებოდა, რომ „ბოლშევიკები არასდროს არ გარაუდობენ ბურჟუაზიული სახელმწიფოს (რესპუბლიკის) შექმნას რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ერებისაგან“

თავისი გამოხვლის დასასრულს, ის კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნული პრობლემის შესწავლის საკითხში უმანგი სიღამონიძის წვლილს და მის ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევს

ამრიგად, საბჭოს წევრების ერთ ნაწილს აშკარად არ მოსწონდა უმანგი სიღამონიძის ნაშრომი, რომელიც, მათი ღრმა რწმუნით, არ შეესატყვისებოდა მარქსისტულ ლენინურ იდეოლოგიას საბჭოს წევრების მეორე ნაწილი არ იზარებდა ამ მოსაზრებას და აღიარებდა აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში უმანგი სიღამონიძის წვლილს ასეთი აზრთა სხვადასხვაობა შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნებოდა, რომ მოწინააღმდეგეები უმანგი სიღამონიძის ნაშრომის შეფასებისას ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკურ-კონონქტურული მოსაზრებებით, ხოლო მათი მომხრეები წმიდა აკადემიურ კრიტერიუმებს ემყარებოდნენ

საკამათო საკითხებში გარკვევის მიზნით მალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რა პასუხს გასცემდა დისერტანტი გამოშვებულვითა შენიშვნებს უნდა ითქვას, რომ ამ მისიას მან ბრწყინვალედ გაართვა თავი უმანგი სიღამონიძის პასუხი იყო აკადემიური, სოლიდური და სათანადოდ არგუმენტირებული ის თავის სიტყვაში შეცვალა პასუხი გაეცა მის წინააღმდეგ გამოთქმულ ცველა შენიშვნაზე გადაუკარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წმიდა მეცნიერული პოლემიკა უმანგი სიღამონიძის სუფთა გამარჯვებით დასრულდა და მან თავისი დოგმატიკოს-ოპონენტები ორივე ბეჭით გააკრა ხალიჩას

პოლიტიკურ კონონქტურული ნაშრომი კარგად მიესადაგება კონკრეტულ ისტორიულ მონაცემს სტალინის დროს ისინი აქებდნენ სტალინს, მისი გარდაცვალების შემდეგ გამობდნენ სტალინს და გუნდრუკს უკმედნენ ნ ს ხრუშოვს ამ უკანასკნელის ვადადგო მის შემდეგ კი დაიწვეს მისი ლანძღვა და ასლა ხოტბას ლ ბრეჟნევის

და უბრაობის ეპოქას ასწამდნენ ასეთი ნაშრომები სწრაფად იხვევს პოპულარობას, მაგრამ პოლიტიკური ვითარების შეცვლასთან ერთად, უმაღლეს კარგავს თავის აქტუალობას, სულ სხვაა მეცნიერული ნაშრომი – ის პოლიტიკურ კონიუნქტურას არ ექვემდებარება, შესაძლოა გაფართოვდეს წყაროთმცოდნეობითი ბაზა, აღმოჩნდეს ახალი წყაროები, რაც, თავისთავად ცხადია, გარკვეულ კორექტირებას შეიტანს სამეცნიერო ნაშრომში, მაგრამ მის მეცნიერულ ღირებულებას სადავოს არ ზღის

რა სახის იყო უშანგი სიღამონიძის ნაშრომის მიმართ წაყენებული პრეტენზიები? ეს შენიშვნები ბირობით სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს. 1 შენიშვნები, რომლებიც ავტორმა გაიზიარა, მიიღო ასეთად, უპირველეს ყოვლისა, მიგვაჩნია მ ორახელაშვილის წიგნის – „ქართული ხალხის გზა“ გვერდის ავლა, 2 საკამათო საკითხები, რომლებიც ნებისმიერ წიგნში გვხვდება, ოპონენტები ასე ფიქრობენ, ხოლო დისერტანტს სხვაგვარად მიაჩნია (ასეთად მიგვაჩნია პოლემიკა ა. სურგულაძესთან და ნ სტურუსთან) ეს ადვილი გასაგებია, თანამედროვე, პოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰელიის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“ ეს არც ერთი გამოკვლევის ღირებულებას არავითარ ჩრდილს არ აყენებს, 3 შენიშვნები, რომლებიც წმინდა პოლიტიკურ-კონიუნქტურულ ხასიათს ატარებენ და დღეს, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად არავითარი ღირებულება არ გააჩნიათ

რა იყო უშანგი სიღამონიძის წიგნში ისეთი, რომელმაც ისტორიკოსთა ერთი ნაწილის რისხვა გამოიწვია?

უშანგი სიღამონიძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა სცადა ახლებურად, ორიგინალურად გაეშუქებინა საქართველოს უახლესი ისტორიის აქტუალური საკითხები მან უარი თქვა ამ პრობლემების ტრადიციულ, ტრაფარეტულ გაშუქებაზე და თამამად გამოთქვა თავისი განსხვავებული შეხედულება ამ თემის ირგვლივ, ეს იყო ახალი სიტყვა ქართულ ისტორიოგრაფიაში

უშანგი სიღამონიძემ გააყდა და პირველმა გაუსვა ხაზი 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის პროგრესულობას, რაც იმდროინდელი ისტორიოგრაფიის ფონზე გაუგონარი სიმაჰაცე იყო

უშანგი სიღამონიძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა სცადა, მეცნიერულად შეეფასებინა სოციალ-ფედერალისტთა პარტია და მასში დაინახა არა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია, როგორც ამას სწავლიდნენ მისი წინამორბედი ისტორიკოსები, პროფ ილია მრეცხულავას მეთაურობით, არამედ, ფაქტობრივად, დემოკრატიული პარტია

ბნმა უშანგიმ ერთ-ერთმა პირველმა მოუთხია, რომ XX ს დასაწყისში საქართველოს ეკონომიკა ისეთივე გზით ვითარდებოდა, როგორც რუსეთის, მან დამატებულად ცხადყო, რომ ეროვნული საკითხის შეუფასებლობამ დიდად შეუწყო ხელი 1917 წელს საქართველოში ბოლშევიკების პოზიციის შესუსტებას, ეს მისი ნაშრომის კიდევ ერთი სერიოზული პლიუსი იყო პრაქტიკულად, უშანგი სიღამონიძემ საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხის რევიზია, მეცნიერული შეფასება მოახდინა

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ უშანგი სიღამონიძის ნაშრომს საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს ცნობილმა რუსმა ისტორიკოსებმა, ისტორიოგრაფიული საკითხების კომპეტენტურმა სპეციალისტებმა ვ სალოვმა და ვ ილერიკიმ მათ დადებით რეცენზიებს საქართველოს პრეზიდენტის არქვში მოვაცლიეთ ეს გამოხმაურებები ქართული ისტორიოგრაფიისათვის ფასეულია და უშანგი სიღამონიძის გამოკვლევების საკუთრივ, სერთაშორისო აღიარებად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა დოკუმენტისათვის, როგორც ჩანს, მას ასეთი მნიშვნელობა არ ჰქონია.

ОТЗЫВ

на автореферат докторской диссертации У Ш Сидамондзе – «Историко-география буржуазно-демократического движения и победы социалистической революции в Грузии (1917-1921 гг.)»

В последнее время резко возрос интерес к историографической проблематике. И это вполне закономерно, ибо в историографическом процессе рельефно проступают основные противоборствующие силы, прежде всего борьба марксистско-ленинской и буржуазной исторической науки. Освещению различных аспектов этой борьбы и посвящены исследования советских авторов и их коллег за

рубежом, а также работы наших идейных противников Назовем здесь лишь одну работу – первый том американского историка Гиллета «Так называемая дружба народов», – в котором содержится тенденциозная интерпретация советской исторической науки в связи с освещением ею национального вопроса. Появление подобных работ лишней раз напоминает нам, насколько остро стоит вопрос о борьбе идеологий в области историографии вообще, в изучении национальных аспектов советского историографического процесса, в особенности. Поэтому следует приветствовать выбор У И Сидамонидзе темы и ее разработку в качестве докторской диссертации

На основе ознакомления с содержанием автореферата можно сделать вывод: диссертант поднял огромные пласты исторического материала и вовлек в сферу своего интересного исследования малоизвестные работы уже ушедших от нас авторов. Им изучена по существу вся литература на грузинском языке и ее осмысление в виде исторических наблюдений изложено на страницах данного автореферата. Несомненной заслугой автора является и то, что он знакомит читателя с представителями как марксистского, так и буржуазного и мелкобуржуазного направления в грузинской историографии. Историографический процесс раскрывается на фоне борьбы идеологий. Основные выводы автора хорошо аргументированы и поэтому убедительны.

Однако хотелось бы высказать некоторые замечания частного порядка. Вызывает сомнение тот факт, что автор обрывает исследование историографического процесса на 1936 г. Вероятно, следует внести определенные коррективы. Жаль, что диссертант не отметил негативный аспект этого процесса, связанный с влиянием культа личности. Может быть стоило подвергнуть критике и работы нынешних буржуазных историков, занимающихся изучением советской историографии в свете проблем, рассматриваемых в данном исследовании.

Но эти вопросы поставлены мною в порядке пожелания. Вообще, автореферат будит мысль, и в этом его достоинство. Так, нельзя не отметить, что невольно задаешь себе вопрос: почему в

нашей историографии на изучается история меньшевистского движения в Грузии, не уделяется внимание буржуазным партиям? Вряд ли данные темы должны быть отданы на откуп нашим идейным противникам

Подытоживая сказанное выше, следует сделать вывод о том, что перед нами, судя по автореферату, квалифицированное научное исследование, обогащающее нашу науку Автор данной диссертации – У И Сидамондзе заслуживает присуждения ему исковой степени доктора исторических наук

Доктор исторических наук (В. И. Салов)
17/VI 71

Верно М ЧИГАШВИЛИ

ОТЗЫВ

на автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук У И Сидамондзе «Историография буржуазно-демократического движения и победы социалистической революции в Грузии (1917-1921 гг.)»

Автореферат диссертации У И Сидамондзе свидетельствует о том, что автором избрана для изучения важная по своему научному значению и актуальности тема Автор не имеет предшественников в изучении этой темы, что обусловило сложность ее разработки и подчеркивает самостоятельность автора как исследователя В работе видна широкая эрудиция автора не только в специальной литературе темы, но и в новейшей историографической литературе общего характера, что дало ему возможность полно и верно осветить избранную тему Автором обнаружена также хорошая методологическая подготовка, выводы автореферата не вызывают возражений

Однако в автореферате имеются, на наш взгляд, и недостатки Структура работы неверна освещение марксистской историографии ранее буржуазной и мелкобуржуазной неубедительно – это исключает возможность показать в должной мере полемическую

заостренность марксистской историографии, сложившейся в борьбе с буржуазной и мелкобуржуазной историографией В автореферате нет должной группировки и изучаемой литературы – рядом с мемуарной литературой характеризуются экономические исследования и исторические работы, что неправомерно

В целом же содержание автореферата свидетельствует о большой работе У Сидамонидзе по исследованию избранной темы Он внес существенный вклад в грузинскую историографию ее начального этапа и поэтому заслуживает присуждения ему ученой степени доктора исторических наук

Доктор исторических наук,
профессор
31 мая 1971 г

В Е Иллерицкий

მუხუდგადავ ძლიერი პოლიტიკური ზეწოლისა, საბჭოს წევრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მიიღეს სწორი გადაწყვეტილება და მხარი დაუჭირეს უმანგი სიღამონიძისთვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის მიზეზული ხარისხის მინიჭებას საბჭოს 31 წევრიდან ათმა წინამძღვე მისცა ხმა

ამრიგად, მეცნიერული პაექრობა მისი გამარჯვებით დასრულდა თითქოს ინცანდენტი ამოიწურა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ ყოფილა, ახლა დაეა უფრო მაღალ პარტიულ ინსტანციებში განახლდა და მკვეთრად გამოკეთილი პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა.

* * *

უმანგი სიღამონიძის მეცნიერულ პაექრობაში დამარცხებულმა მოწინააღმდეგეებმა გადაწყვიტეს, რეკანში პარტიულ ინსტანციებში აეღოთ

წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით ეს იყო კარგად გათვლილი ნაბიჯი, რამდენად ზნეობრივი გახლდათ მათი მოქმედება, ეს სულ სხვა საკითხია უტვობა, მათ ეს ამბავი დიდად არ ანაღველებდათ, მთავარია მიეღწიათ საწადელისათვის, ხოლო რა გზით, რა

საშუალებით, ეს მათ არ აინტერესებდათ უმანგი სიღამონიძის დისკრტიკის გარშემო კამათი ასალი ძალით გააჩაღდა

მოვესმინით აკად გიორგი მელიქიშვილს: – „თუ ვინმე არატრადიციულად, არატრადიციულად მოუძღვებოდა ამ ეპოქის ისტორიას ამა თუ იმ მოვლენის გაშუქებას, მას ჩვეულებრივ ხელმძღვანელი ორგანიზების რისხვა ატყდებოდა თავს ამის მაგალითია უმანგი სიღამონიძის წიგნის ირგვლივ ატეხილი აურზაური 1972 წელს წიგნი, სხვათა შორის, ეძღვნებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის (1918 წ) ისტორიოგრაფიას და შეიცავდა დოკუმენტაციისათვის გაუგონარ თეზისს ამ ფაქტის პროგრესულიობის შესახებ საქართველოს კბ თბილისის კომიტეტმა ამისთვის მთელი სასამართლო მოუწყო წიგნის ავტორს, რედაქტორს, ინსტიტუტის ხელმძღვანელობას და სასჯელები დაადო მათ (იხ გაზ „კომუნისტი“ და სხვ) პარტიული ორგანიზების ასეთი რეაქცია შეუძლებელი იქნებოდა, რომ ამასი ინიციატივა არ გამოჩინათ ჩვენივე კოლეგებს, ჩვენსავე თანამშრომლებს, რომელთაც მაშინ ვაგონება არ უნდოდათ 1918 წლის 26 მაისის აქტის პროგრესულობის შესახებ ინსტიტუტს გააუქმებინეს სამეცნიერო სამქოს გადაწყვეტილება უ სიღამონიძისათვის, ამ წიგნის საჯარო დაცვის საფუძველზე. ისტორიის შეცნირებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების შესახებ

უნდა ითქვას, რომ უახლესი ისტორიის დარგში მოშუშავე მუშაკები ხშირად ბევრად აღემატებოდნენ დოკუმტურობით ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზების მუშაკებსაც, რომლებიც ზოგჯერ ხვდებოდნენ, რომ მათ ნაშრომებს ნამდვილ ისტორიასთან საერთო არაფერი აქვთ! დასახლებული ისტორიკოსები ამით, ჩანს, ცდილობდნენ გაატონებული იდეოლოგიისადმი თავისი ერთგულება დაემტკიცებინათ

უნდა ითქვას, რომ ინსტიტუტში მრავალგზის მიუთითებდნენ უახლესი ისტორიის ამ სპეციალისტებს კვლევა-ძიების მეცნიერულ რეალობაზე გადაყვანის აუცილებლობაზე, მაგრამ ყველაფერი ეს ყრუ კედელს აწვდებოდა და რაიმე ექვეტს არ იძლეოდა. კიდევ უფრო საშუწაროა, რომ ამ რანგის მუშაკები დღესაც ნაკლებ იჩენენ სურვილს ჭეშმარიტ კვლევა-ძიებას მოაკვიონ ხელი ამიტომ იყო, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, არსებული სტრუქტურების პარალელურად ალტერნატიული სამეცნიერო უფრედის შექმნის გზით წასულიყო – შეიქმნა, მაგალითად, XX ს-ის საზოგა

ლიბერე პოლიტიკური ისტორიის განყოფილება (უ სიღამონიძის ხელმძღვანელობით) და სხვა“

აკად გ მელიქიშვილის ინტერვიუდან ეს ვრცელი ამონარიდი შემთხვევით არ მოგვიყვანია. მასში ვფიქრობთ, დამბუკრებულადაა ნაწვენები იმ „მეცნიერების“ ფასეულობა, რომლებიც უზთაერესად უპირისპირდებოდნენ უმანგი სიღამონიძეს აი ასეთ „ჯრუ კვლელთან“ მოუხდა დაეახება ბ-ნ უმანგის ჯერ სალოქტორო ღისერტაციის დაცეის დროს, ხოლო შემდეგ კი, პარტიულ ინსტანციაში ნაშრომის განხილვისას სკ თბილისის კომიტეტში უმანგი სიღამონიძის წიგნ ის გასამართლება ამ „ჯრუ კვლელთან“ შეტაკების აპოგეა იყო

უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად „ჭეშმარიტების მამიუ-ბლებმა“ სიმათილის გარკვევის მიზნით საქართველოს კომუნის ტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმართეს, მაგრამ, როგორც ვტყობა, მათ საქმე განსახილველად სკ თბილისის კომიტეტს გადა უგზავნეს, ამან საქმე ერთგვარად შეგარბოლა

უნდა ითქვას, რომ თბილისის კომიტეტს შესანიშნავი საკბილო ჩაუვარდა ბელში მას შესაძლებლობა მიეცა დაეგმო იდეოლოგიის სფეროში არსებული უხეში დარღვევები, რაც მისი მუშაობის დიდი პლიუსი იქნებოდა ცნადაი, ასეთი ხელსაყრელი შანის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა პარტიულ-ბიუროკრატიული აპარატი მთელი ძალით ამოქმედდა

1972 წლის 14 აპრილს დილის 11 საათზე შედგა სკ თბილისის კომიტეტის სხდომა, სადაც განიხილეს ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკის უმანგი სიდა მონიძის წიგნში – „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის ისტორიოგრაფია (1917-1921 წწ)“ დაშვებული შეცდომები სხდომას ესწრებოდნენ 1 უმანგი სიღამონიძე, 2 ანდრია აფაქიძე – სამეცნიერო საბჭოს თავმჯ-დომარე განყოფილების გამგე, 3 ნიკოლოზ სტურუა – ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მადგილი; 4 ზურაბ ცქიტიშვილი – მეცნიერ-მუშაკი, 5 თემურ ჩიქოვანი – ისტორიის ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, 6 პროკოფი რატანი – განყო ფილების გამგე, წიგნის რედაქტორი, 7 იური კაჭარავა – განყო ფილების გამგე, 8 ნიკოლოზ მასხარაძე – მეცნიერ-მუშაკი; 9 დევი სტურუა – იმელის დირექტორი, 10 ვლადიმერ შერკვილაძე –

იმელის პარტიის ისტორიის განყოფილების გამგე, 11 აკაკი სურგუ
ლაძე – უნივერსიტეტის რუსეთის ისტორიის კათედრის გამგე; 12
გრიგოლ ბრეგაძე – საქართველოს პოლიტეკნიკური ინსტიტუტის
პარტიის ისტორიის კათედრის გამგე, 13 შოთა შერგელა – გამომ-
ცემლობა „მეცნიერების“ დირექტორი, 14 გივი ვარლამანიძე –
მათემატიკის მთავარი რედაქტორი, 15 გიორგი ციციშვილი – ჟურ-
ნალ „ლიტერატურა და ხელოვნება“ რედაქტორი, 16 ირაკლი აბაშიძე
– საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, 17
კობა ივანიძე – იმელის პარტიის ისტორიის განყოფილების მეცნი-
ერ-თანამშრომელი, 18 შალვა თოფურია – გამომცემლობა „მეც-
ნიერების“ პასუხისმგებელი მდივანი; 19 ილია მირცხულავა –
ინფორმაციის ინსტიტუტის დირექტორი, 20 გიორგი მელიქიშვილი
– ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექ-
ტორი.

ამავე დროს, სხდომას ესწრებოდნენ პარტიული მუშაკები. ო
ლოლაშვილი, დანელია, რიგვაჯა, ალაიძე, ჯანუღავა, მიქაძე, ხვედელ-
იძე, გრიგალაშვილი, შვეარდნაძე, ბუხრაშვილი

სხდომაზე საკითხი განსახილველად გაიტანა გუგუშვილმა
ამ შემთხვევაში ის, რა თქმა უნდა, შემსრულებელი იყო და მანაც,
რომელიც არასოდეს გამოირჩეოდა დელიკატურობით და ხშირად
უსამართლობის, უზნებობის განსახილველად იყო, ამუერადაც, სიამოვნებით
შეასრულა ეს პარტიული დავალება

თბილისის კომიტეტის სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ
უმანგი სიღამონიძის წიგნი „შეიცავს თეორიულ და იდეურ-პოლი-
ტიკური ხასიათის მთელ რიგ შეცდომებს“ მიღებული დადგენილებ-
ის ტექსტი გამოქვეყნდა პრესაში (ის გაზეთი „კომუნისტი“, 1972
წ 27 აპრილი) ეს დოკუმენტი ხელმძღვანელი პარტიული ორგა-
ნიზების არაკომპეტენტური ჩარევის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად
უნდა მივიჩნიოთ მთლიანად მოგვეყვას დადგენილების ტექსტი -

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიურომ განიხი-
ლა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი აჯავახიშვილის
სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუ-
ტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის უ სიღამონიძის წიგნი

„საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-1921წლები)“ დაშვებული შეცდომების საკითხი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ წიგნში, რომელ იც გამოიყენებოდა „მეცნიერებამ“ (დირექტორი შ შენგელია, წიგნის რედაქტორი პარტიანი) გამოუშვა, დაშვებულია სერიოზული თეორიული და იდეო-პოლიტიკური შეცდომები ავტორი მცდარად აფასებს ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას, ისეთს, როგორცაა საქართველოს ჩამოცილება საბჭოთა რუსეთისაგან, რომელიც მენშევიკებმა მოახდინეს ქართველი ხალხის წებასურვილის წინააღმდეგ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ წიგნში სწორად არ არის გაშუქებული საქართველოში ბურჟუაზიული დიქტატურის და უცხოელ ინტერვენტთა ბატონობის პერიოდი უ სიღამონიძე გადასინჯავს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ლენინურ შეფასებას, აჩინებს მარქსისტ ისტორიკოსთა დამახსურებას, ცდილობს გამართლოს ქართველი მენშევიკები და წვრილბურჟუაზიული პარტიების სხვა წარმომადგენლები, განსაკუთრებით სოციალ-ფედერალისტები და ნაწილობრივ იზიარებს ზოგიერთი მათგანის შეხედულებებს რევოლუციის ძირითადი საკითხის შესახებ

ავტორი სერიოზულად ცდება, როცა პროგრესულად მიაჩნდა მენშევიკების მიერ „საქართველოს დამოუკიდებლობის“ გამოცხადების აქტი, მაშინ, როცა მენშევიკთა მიერ შექმნილი ევრთ წოდებულ ი „დემოკრატიული რესპუბლიკა“ სრულებითაც არ იყო, როგორც ამას უ სიღამონიძე ფიქრობს, ეროვნული სახელმწიფო და ეს რესპუბლიკა არსებობდა მხოლოდ და მხოლოდ უცხოელ ოკუპანტთა ბიშტების დახმარებით

წიგნში არსებითად უარყოფილია ამიერკავკასიის, მათ შორის საქართველოს რევოლუციამდელი სოციალ ეკონომიკური განვითარების დონის ლენინური განსაზღვრა, რომლებიც ჩამორჩენილი იყვნენ ეკონომიკური თვალსაზრისით

უ სიღამონიძე არსებითად იზიარებს სოციალ-ფედერალისტთა შეხედულებებს იმის თაობაზე, რომ საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში იმ ხანად მთავარი იყო ეროვნული საკითხი; აჩინებს მშრომელთა კლასობრივი ბრძოლის როლს საბჭოთა ხელისუფლება-

ის დამფარებისათვის ბრძოლაში და ამით შეცლონით განმარტავს ცნობილ მარქსისტულ-ლენინურ დებულებას იმის შესახებ, რომ კლასობრივ ბრძოლაში, სოციალიზმისათვის ბრძოლაში ეროვნული საკითხი დაქვემდებარებულია

უ სიღამონიძის ნაშრომს არა აქვს ევროვანი მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიული ბაზა მებტად ზერეულდ არის წარმოდგენილი მარქსისტ ისტორიკოსთა გამოკვლევანი შესასწავლ პრობლემასზე. ეს მასალები მნიშვნელოვანწილად შერჩეულია ცალმხრივად, მათი საავტორო ინტერპრეტაცია ყი არ შეესაბამება იმ საყოველთაოდ მიღებულ დებულებებს, რომლებიც ჩვენმა ისტორიულმა მეცნიერებამ დაადგინა ავტორი უგულებელყოფს ამ საკითხს, პარტიის თვალსაზირო მოღვაწეთა ფუძემდებლურ ნაშრომებს თითქმის არ იყენებს იმ დროის ბოლშევიკურ პრესას, აკინებს ბოლშევიცი ისტორიკოსთა როლს, მათ დამსახურებას მარქსისტული ისტორიოგრაფიის შექმნასა და ჩამოყალიბებაში. ამავე დროს, თავის წიგნში იგი ფართოდ იყენებს მენშევიკური და სხვა წერილებურუფუაზიული პარტიების ლიდერების უმნიშვნელო ნაშრომებს და მთელ რიგ შემთხვევებში ობიექტურად აშუქებს მათ შეხედულებებს

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ უ სიღამონიძის წიგნის გამოსვლა არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის ხახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელების, პარტიული ორგანიზაციისა და ისტორიოგრაფიის განყოფილების, აგრეთვე, რეკონსტრუქციის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს, გამომცემლობა „მეცნიერების“ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მუშაკთა ამ საკითხისადმი უპრინციპო, შემრიგებლური დამოკიდებულების შედეგი

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა, პარტიულმა ორგანიზაციამ და სამეცნიერო საბჭომ, აგრეთვე, წიგნის ავტორმა არ გაითვალისწინეს საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობასზე გამოთქმული სამართლიანი კრიტიკა და არ გამოიტანეს სათანადო დასკვნები უფრო მეტიც, ეს წიგნი და მდებარეული იყო დისერტაციის სახით საჯარო დაცვისათვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მისა-

პოპულარად ყოველგვარი გადამშავებისა და შესწორების ვარაუდის ერთგვარად დაკვირვებისა და ნაშრომის წარდგენას ხელი შეუწყვეს პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა, რომლებმაც ბოლომდე პრინციპული პოზიცია არ დაიკავეს უ სიღამონიძის წიგნის შეფასებაში

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ უ სიღამონიძის წიგნში დაშვებული იდეურ-პოლიტიკური შეცდომები მოწმობენ, რომ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციაში (მღვიანი თ ჩიჭოვანი), გამოამყვებლობა „მეცნიერების“ პარტიულ ორგანიზაციაში (მღვიანი შ თოფურია) არადაამკაცყოფილებლად არის დაფუძნებული იდეოლოგიური, აღმზრდელითი მუშაობა. აქ ღრმად არ სწვლებიან გამოსაქვეყნებლად წარდგენილი მეცნიერული ნაშრომების შინაარსს, საჭირო მბოძოხენილობას არ იჩენენ მათი იდეურ-პოლიტიკური მმართველობისადმი, სათანადოდ არ იბრძვიან პრინციპების, მამებლობისა და ჯგუფურობის გამოვლინების წინააღმდეგ

მცდარ შეხედულებებს, რომლებსაც უ სიღამონიძის წიგნი შეიკავს, ჯეროვანი პარტიული შეფასება არ მისცეს პარტიის კალიონისა და ორგანიზაციის რაიკომებმა

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიურომ ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ წიგნის ავტორმა უ სიღამონიძემ და მისმა რედაქტორმა პ რატანმა არ გამოიტანეს შესაბამისი დასკვნები მათ მმართველობის კრიტიკიდან, არ აღიარეს თავიანთი შეცდომები „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის VII პლენუმის შემდეგაც, რომელზეც აღინიშნა ამ წიგნში დაშვებული სერიოზული იდეურ პოლიტიკური შეცდომები

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიურომ თავის დადგენილებაში დაგმო თეორიული და იდეურ-პოლიტიკური შეცდომები, რომლებიც დაშვებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ო. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, სკკპ წევრის, უ სიღამონიძის წიგნში – „საქართველოში ბურჟუაზი-

ულ-დემოკრატიული მოძრაობა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-1921 წლები)“ ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია მიეცა, გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება ლოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების შესახებ

იმ მიზნით, რომ შემდგომში აღარ განმეორდეს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ისტორიის საკითხების გამუქებისადმი არაპარტიული, არაკლასობრივი მიდგომის რაიმე გამოვლინება, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა ი ვაეახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტების, გამოცემლობა „მეცნიერების“ პარტიულ ორგანიზაციებსა და ხელმძღვანელებს წინადადება მისცა, განუზრდვად იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ და ამ დადგენილების განხილვისადმი მიძღვნილი საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის VII პლენუმის გადაწყვეტილებებით ყურადღება მიექცა იმას, რომ საჭიროა ღრმად და ყოველმხრივ ჩაეწვდეთ გამოსაქვეყნებლად და დისურტაციის დასაცავად წარდგენილი მეცნიერული ნაშრომების იდეურ შინაარსსა და პოლიტიკურ მიმართულებას საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მომუშავე მეცნიერებმა მთელი თავიანთი ყურადღება უნდა დაუთმონ დიდი თეორიული პრობლემების დაბრუნებას და ხელი შეუწყონ საბჭოთა საზოგადოებისა და ისტორიის მეცნიერების განვითარების აქტიურ საკითხებზე განმარჯვებელი ნაშრომების შექმნას, გააძლიერონ სსრ კავშირის სოციალ-ეკონომიკური განვითარების პრობლემის შესწავლა

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კომუნისტების, მეცნიერული კოლექტივების ყველა წევრის აღზრდის ბურჟუაზიული და რევოლუციონისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ შეურყეველი შეტევით, ბრძოლის სულისკვეთებით, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზ-

მის, სსრ კავშირის ხალხთა ურდვევი შეგობობის სულისკვეთებით, გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა, გააუმჯობესონ მეცნიერული მუშაობა, გააუმჯობესონ მეცნიერული კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლება, სისტემატ ურად იზუშარინ პარტიის XXIV ყრილობის მასალების ღრმად შესწავლისათვის

კომიტეტმა ყურადღება დაუთმო იმას, რომ საქორა გაზარდონ კომუნისტთა ავანგარდული როლი, უფრო ფართოდ განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, შექმნან ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობის ვითარება, დაუზოგავად ებრძოლონ უპრინციპობის, მლიქვნელობისა და გუგუყრობის გამოვლინებებს, იბრძოლონ იმისათვის, რომ თითოეულ მეცნიერულ კოლექტივში სუფევდეს ნამდვილად შემოქმედებითი ვითარება, ნყოფიერი დისკუსიების, ურთიერთობის ოენიღებების, მაღალი პასუხისმგებლობის ატმოსფერო, უნდა უზრუნველყონ სამეცნიერო საბჭოების მიზანდასახული მუშაობა, გადაჭრით ამაღლონ მომზოვნელობა სადისერტაციო ნაშრომისადმი, ადარ დაუშვან მეცნიერული გამოკვლევების გამოცემა, თუ წინასწარ არ განიხილავს და საექტნლურ გადაწყვეტილებას არ მიიღებს სამეცნიერო საბჭო

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა ცნო, რომ წიგნის – „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიორაფია (1917 1921 წლები)“ ავტორი, ამხ უ სიღამონიძე და წიგნის რედაქტორი, ამხ პ რატანი, თვორიული და იფურ პოლიტიკური შეკლომებისათვის იმსახურებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხვას, მაგრამ მიიღო რა მზედველობაში, რომ ამხანაგებმა უ სიღამონიძე და პ რატანმა აღიარეს თავიანთი შეკლომები, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიურომ შესაძლოდ მიიწნია დატოვოს ისინი პარტიის რიგებში და გამოუცხადა სასტიკო საყვედური სააღრიცხვო პართში შეტანით

გამოსატყვევებლად და დისერტაციის დასაცავად წარმოდგენილი მეცნიერული შრომების იფურ პოლიტიკური შინარისისადმი მომთხონელობის შესუსტებისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი, ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა

და ეონოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს ამხ გ მელიქიშვილს გამოეცხადა საცველური

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა ამხ დ სტურუასა და მისი მოადგილის ამხ ვ მერკვილაძის ფურადლება მიაპყრო იმას, რომ მეცნიერული შრომების რეცენზირებისა და სადისერტაციო ნაშრომთა აპრობაციის დროს საჭიროა გადაჭრით გაამდიდრონ ასუსხ ინსტეპლობა, ამასთან გამოიწინონ მაღალი მომთხოვნელობა და პარტიული პრინციპულობა.

გამომცემლობა „მეცნიერების“ დირექტორს, ამხ შ შენგელეას უპრინციპობის გამოჩენისათვის, გამოსაცემი მეცნიერული შრომებისადმი კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტებისათვის გამოეცხადათ საცველური აღინიშნა, რომ, მცდარ პოზიციას დააფენენ სარედაქციო კოლეგია და მთავარი რედაქტორი, ამხ გ ციციშვილი, როცა ფურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ გამოაქვეყნეს ამხ ნ სტურუას დადებითი რეცენზია ამხ უ სიღამონიძის წიგნზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეონოგრაფიის ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციას წინადადება მიეცა, განიხილოს კომუნისტების, ამხ გ მარგანის და ამხ ნ სტურუას პარტიული ასუსხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც მცდარად, უპრინციპოდ შეაფასეს უ სიღამონიძის შრომა

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა დააეალა პარტიის კალინინისა და ორჯონიკიძის რაიკომებს, შეისწავლონ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეონოგრაფიის ინსტიტუტსა და გა მომცემლობა „მეცნიერებაში“ პარტიულ ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის მღეომარეობა და მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებანი მათი საქმიანობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის“ (ვახ „კომუნისტი“, 1972 წ., 27 აპრილი)

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის კომიტეტის მიერ უმანგი ხიღამონიძის წიგნის გასამართლება 1936 წლის გასმაურებული მოვლენის – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ჩატარებული „დისკუსია საისტორიო ფორუმზე მდგომარეობის შესახებ“ – შორეულ ექოდ გაიხმა მათ შორის ძალიან ბევრ საერთოს ვხვდეთ 1936 წელს საქმე ეხებოდა ქართულ ისტორიკოსთა ერთი ნაწილის „მოთინიერებას“ ივანე ჯავახიშვილის თავკაცობით, ხოლო, ახლა, 1972 წელს მათი თინიერეს ისტორიკოსი, რომელმაც გაბედა და საქართველოს უახლესი ისტორიის მოელ რივ საკანძო საკითხებს არასტანდარტულად, არატრადიციულად მოუდგა, უგულზე-ელყო მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მიერ წინასწარ დადგენილი სტერეოტიპები და შტამები, გაუკვლავი გზით სიარული არია. ამით მათ, ისტორიკოსთა იმ ნაწილს, რომლებიც თანაუგრძობდნენ ბნ უშანგი სიღამონიძეს, კარგად აგრძობინეს, რომ, თუ ისინიც გაბედავდნენ დაუმორჩილებლობას, იგივე, შვილიბა უფრო უარესი, ბედი ელოდათ მკირეოდენი განსხვავება ის იყო, რომ, 1936 წელს ფიზიკურსა და მორალურ ტერორს ახორციელებდნენ ამიტომ იყო, რომ ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ იძულებული იყვნენ მისი მოწაყეები – სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი გამოსულიყვნენ 1972 წელს იყო მხოლოდ მორალური ტერორი ალბათ, დამეთ ანხმებით, ცოტა პროგრესი მანც არის, არა? 1936 წლის დისკუსიის მსგავსად, თბილისის კომიტეტის დადგენილებაში გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები უმთავრესად პოლიტიკური და იდეოლოგიური ხასიათისაა და არა წმინდა მეცნიერული დღეს ეს დადგენილება და, საერთოდ, უშანგი ხიღამონიძის წიგნის ირგვლივ ამტყდარი აურზაური დიმილის მომგერელია და სეროზული მსყელობის სავნად არ შეიძლება იქცეს ყველაფერ ამას ძალიან კარგად მიუსადაგება შექსპირის პიესა – „აურზაური არაფრის გამო“

უნდა ითქვას, რომ უშანგი სიღამონიძე არც დისერტაციის დაცვის დროს და არც თბილისის კომიტეტში საკითხის ვატანისას არანაირ კომპრომისზე არ წასულა და მტკიცედ იცავდა თავის პოზიციას, რამაც მას სავსებით სამართლიანად დაუშკვიდრა სწორუპოვარი ისტორიკოსის სახელი ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, თითქოს „უშანგი სიღამონიძემ და პროკოი რატანამ აღიარეს თავისი „შეცდომები“ ეს სიმართლეს არ შეეფერება

დოკუმენტისებმა, ორთოდოქსულ-მარქსისტულად მოაზროვნეებმა, მეცნიერებმა ადვილი გზით სიარულის მოტრფიალებმა, მაქსიმალურად სცადეს გამოყენებინათ ის გარემოება, რომ უშანგი სიღამ-

ამზე უფრო მომავლანობელი პასუხი განა რა შეიძლება იყოს? მაგრამ რა გინდა – „ქარაეანი მიღის“ აქ, ეფიქრობთ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. სახეზეა არაკომპეტენტურობა, არაპროფესიონალიზმი, უზნებობა, ამორალობა

სკ თბილისის კომიტეტის განმინება უმანგი სიღამონიძის წიგნის შესახებ წმინდა პოლიტიკური აქტია და საესებით კანონზომიერია, რომ, როგორც კი პოლიტიკური ვითარება მკვეთრად შეიცვალა, მან დაკარგა თავისი მნიშვნელობა და უმაღლესად სამართლიანობა. უმანგი სიღამონიძის წიგნმა საესებით სამართლიანად დაიკავა ადგილი XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევათა შორის, მისდამი მიყენებული მძიმე მორალური ტრამვა იმდროის უგუნური ბოროტების ანარქიკლად დარჩება უნებლიეთ მასხენდება ცნობილი ინგლისელი პუბლიცისტის, ფრენსის ბეკონის სიტყვები – „როდესაც გემი იძირება, ნაგავი ზემოთ ამოდის“ – როგორ შეესატყვისება ეს სიტყვები უახლესი პერიოდის საქართველოს ისტორიას!

☺

ზმარისხული და რამბოლიტირებული ისტორიები

1972 წელი უშანგი სიღამინიძის ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი მიჯნა აღმოჩნდა. მისი საღოქტორო დისერტაციის ირველივე ამტყ დარმა არაუკანსადმა აფიოტაჟმა და უხეშმა აღმინისტრაციულმა ჩარევაჟ, რომლის შედეგადც მას მეცნიერულ პაქრობაში ღირსე ულად მოპოვებული სამეცნიერო ხარისხი ჩამოართვეს, მძიმე სულიერი ტრავმა მიაყენა და თავისი კვალი დაატყო მის ჯანმრთელობას ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მას შემდეგ მისი მეცნიერული საქმიანობა შედარებით ნაკლები ინ ტენსიობით მიმდინარეობდა ცხადია, ყოველივე ამის გადატანას გარკვეული ღრო სჭირდებოდა ფაქტობრივად, იგი სრულიად დავუმ სახურებლად „მოკეთეს“ საქართველოს უახლესი ისტორიის კარ ღინაღური საკითხების კვლევა-ძიებას არადა, რამდენი კარგი რამის გაკეთება შეეძლო მას ამ ხნის განმავლობაში, კიდევ რამდენი საინ- ტერესო ნაშრომით გამდიდრებდა იგი ქართულ ისტორიოგრაფიას ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენით, ტოტალურ-პოლშეიკური რეჟიმის პირობებში, უშანგი სიღამინიძის, როგორც მკვლევარისტორიკოსის, მღიღარი პოტენციური შესაძლებლობები ბოლომდე გამოყენებული არ ყოფიღა.

უნდა ითქვას, რომ ამ მძიმე წუთებში უშანგი სიღამინიძეს ვროგვარი სულის მოთქმის საშუალებად მოვეღინა თბილისის სას ელშეიფო უნივერსიტეტი, სადაც, პროფ გივი კოღურაძის ინიციატიო- ით, 1969 წელს მიწვეულ იქნა ლექციების წასაკითხად „ისტორიუ ლი მეცნიერების შესავალში“ მას შეეძლო ამ თემატიკაზე გაღართ-

ულიყო და ერთგვარად ჩამოეშორებინა მიმე განცდები, დაეძლია სულიერი ტკივილი

ეტყობა, უშანგი ხილამონიძის ნაშრომის წარმატებამ და მის ირგვლივ შექმნილმა ემოციურმა ფონმა ერთგვარად დაჩრდილია მისი მეორე სერიოზული მიღწევა – ეს იყო მის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბრწყინვალედ, შესანიშნავად წაკითხული კურსი – „ისტორიული მეცნიერების შესავალი“, რომელიც მან საგულდაგულოდ დაამუშავა

თუ ისტორიის ინსტიტუტში უ ხილამონიძე კარგად წარმოჩინდა როგორც ჩინებული მკვლევარ-ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი ტალანტი სულ სხვა კუთხით გამოჰვლანდა და იგი შესანიშნავ ლექტორად მოგვევლინა.

საბჭოთა კავშირში პირველად უ ხილამონიძე კითხულობდა სრულიად ახალ კურსს – „ისტორიის მეცნიერების შესავალი“, რთაც მან ისტორიის ფაკულტეტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ხიხლე დანერგა

აღსანიშნავია, რომ „ისტორიული მეცნიერების შესავალი“ ძალიან ახლოსაა ისტორიოგრაფიის თემატიკასთან და, ეტყობა, უშანგი ხილამონიძე ამ შემთხვევაში თავის ამაღლუში გრძობდა თავს

1978 წელს გამოქვეყნდება „მეცნიერებაში“ გამოსცა უშანგი ხილამონიძის წიგნი – „ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები“ მასში, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, განხილულია სრულიად ახალი სამეცნიერო დისციპლინა – ინფორმატიკა, ჩამოყალიბებულია მისი ძირითადი პრინციპები ისტორიულ მეცნიერებაში სამეცნიერო-საინფორმაციო მოღვაწეობის თეორიის საკითხებზე, აღბრუნდა მეცნიერებათმცოდნეობის პრობლემები

წიგნი შედგება შესავლის და ორი თავისაგან, ბოლოში კი დართული აქვს რეზიუმე რუსულ ენაზე

შესავალში განხილულია ის მიზნები და ამოცანები, რომლებსაც ამ წიგნის ავტორი ისახავს მიზნად, უპირველეს ყოვლისა აღნიშნულია, რომ მეცნიერებათმცოდნეობა იქმნება XX საუკუნის პირველ ნახევარში, კონკრეტულად კი ორ მსოფლიო ომს შორის მონაკვეთში ეს არ არის მეცნიერების ერთიანი დარგი, იგი წარმოადგენს ცალკეულ მეცნიერებათმცოდნე დისციპლინების სინთეზს იგი მოიცავს ისტორიულ მეცნიერებას, სამეცნიერო-ინფორმაციას და სხვა მეც

ნიერებათმცოდნეობასთან მჭიდრო კონტაქტი გააჩნა ისტორიოგრაფიას, რომელიც ისტორიული მეცნიერების ისტორიაა

„ქართულ ენაზე სამეცნიერო ინფორმაციის თეორიის და პრაქტიკის საკითხებზე ნაშრომები არ მოგვეპოვება... ამიტომ ამოცანად დავისახებთ ქართულ მეცნიერულს გაეცანით ისტორიული მეცნიერების მეცნიერებათმცოდნეობის პრობლემების, სამეცნიერო საინფორმაციო სამსახურის თეორიული საფუძვლები, არსი და ახალი სამეცნიერო დისციპლინის – ინფორმატიკის ძირითადი პრინციპები, სამეცნიერო ინფორმაციის თეორიის საკითხები, უშუალოდ ისტორიული მეცნიერების სპეციფიკურობის გათვალისწინებით..

ნაშრომში სამეცნიერო-საინფორმაციო მოღვაწეობის პროცესს განვიხილავთ ისტორიულ მეცნიერებაში მეცნიერებათმცოდნეობასთან, ისტორიული კვლევის პროცესებთან მჭიდრო კავშირში თეორიულ ასპექტში განვიხილავთ საკითხს, თუ რამდენად შეიძლება და რამდენად ეფექტური იქნება ისტორიულ მეცნიერებაში შრომის განაწილება, ისტორიული კვლევის პროცესის რა ეტაპზე რა სარგებლობის მოტანა შეუძლია სამეცნიერო-საინფორმაციო მოღვაწეობას“

პირველ თავში ავტორი ვრცლად ჩერდება სამეცნიერო ინფორმაციის პრობლემებზე, საკითხი მეტად საინტერესოა და აქტუალურია, ავტორი შემდეგ დასკვნამდე მიდის – „მეცნიერება გართულდა, მეცნიერული კვლევის ისედაც მძიმე პროცესი უფრო მეტად დაძვირდა, ამიტომ, მეცნიერებაში დადგა შრომის განაწილების საკითხი, მეცნიერულ კვლევაში შრომის განაწილება, როდესაც ერთი სამეცნიერო მუშაობას, მეცნიერულ კვლევას ეწევიან, ხოლო მეორენი ამ მუშაობას სამეცნიერო ინფორმაციით უზრუნველყოფენ, მეცნიერების განვითარების ბუნებრივი პროცესის შედეგია, მეცნიერებას აქვს განვითარების მონაგანი კანონები და სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციის ხანაში ამ კანონებმა მეცნიერული მუშაობის ახალი სფერო – სამეცნიერო საინფორმაციო მოღვაწეობის სფერო წარმოშვა“

ეფიქრობთ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ წიგნის ყველაზე უფრო წინანი ნაწილია მეორე თავი, რომელშიც განხილულია ცენტრალური თემა – „ინფორმატიკა და ისტორიული მეცნიერება“

ავტორი წინ სწევს მთელ რიგ პრინციპულ საკითხებს – ისტორიული კვლევა და სამეცნიერო-საინფორმაციო მოღვაწეობა, სამეცნიერო დოკუმენტები, პირველადი სამეცნიერო დოკუმენტები, მეორა

დი სამეცნიერო ღონისძიებები, ინფორმაციის მოწოდების ზოგიერთი გზა

უშანგი სიღამონიძე იძულებული იყო ანგარიში გაეწია ღრისთვის და ზოგიერთი ისეთი თემა წამოწია წინ, რომლის განხილვას ის, ცხადია, არ აპირებდა რა თქმა უნდა, ეს ეხება მონაკვეთს – „ვ ი. ლენინი – საბჭოთა სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციის სისტემის ფუძემდებელი“ ამის გარეშე მაშინ წიგნი არ დაიბეჭდებოდა, მაგრამ ეს, უფიქრობთ, არავითარ ჩრდილს არ აყენებს უშანგი სიღამონიძის ფრიად საგულისხმო ნაშრომს

უშანგი სიღამონიძის წიგნი – „ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო-ინფორმაციის საკითხები“ – ემყარება აღნიშნული საკითხებისადმი მიძღვნილი ნაშრომების ღრმა გააზრებას, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის ფასეულობას ეს წიგნი სახელმძღვანელოს – „ისტორიული მეცნიერების შესავალი“ – შექმნის გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ

დღეს ეს კურსი – „ისტორიული მეცნიერების შესავალი“ ფაკულტეტზე ერთ ერთი ძირითადია ამ საგანში სტუდენტებს მოუპოვებთ სახელმძღვანელო ამ წარმატების სათავესთან კი, სწორედ, უშანგი სიღამონიძე იღვა. შეიძლება ითქვას, რომ 70 80-იან წლებში ეს იყო ერთ ერთი ნათელი სხივი უშანგი სიღამონიძის, როგორც შერისხული ისტორიკოსის შემოქმედებაში, საერთოდ კი, ეს მონაკვეთი – 1972 წლიდან 1988 წლამდე, მის ბიოგრაფიაში ყველაზე მძიმე წლები იყო

ამ მძიმე წლებში უშანგი სიღამონიძემ რამდენიმე საინტერესო ნაშრომი დაწერა ქართულილიოგის ხეობაში, რომელიც მას, სამ წუხაროდ, არსად არ გამოუქვეყნებია, აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ენციკლოპედიასთან, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო და მას გაცილებით უფრო მეტის გაკეთება შეეძლო მან ენციკლოპედიაში გამოაქვეყნა რამდენიმე ათეული საინტერესო სტატია, რომლებიც, აღბათ, ვერ იხილავდა მზის სინათლეს, თუ არა ენციკლოპედიის მამნდელი რედაქტორის მოადგილის, ბნ როინ მებრეველის თანადგომა ეს სტატეები გახლდათ მოკრძალებული, ფოთხილი გაგრძელება მისი სალიტერატორი დისერტაციის თემატიკისა

ამრიგად უმანგი სიღამონიძე ქართულ ისტორიოგრაფიაში კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი ნოვაციის სათავეებთან დგას, ეს იყო ისტორიული მეცნიერების წინაშე მისი კიდევ ერთი დიდი დამსახურება

* * *

80-იანი წლების მიწურულს უმანგი სიღამონიძის შემოქმედებაში შეინიშნება გამოყოფილება, გააქტიურება აღნიშნული მეტაფორით, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, ის მჭიდროდ უკავშირდება იმ თვისებრივ ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ახალმა ხიომ დაბერა. პოლიტიკური კლიმატი მკვეთრად შეიცვალა, დაიწყო გარდაქმნის და დემოკრატიზაციის პროცესი, გამოიწვია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერსპექტივა, უმანგი სიღამონიძის, როგორც საქართველოს უახლესი ისტორიის სწორუპოვარი მკვლევრის, რეაბილიტაცია ამის ლოგიკური შედეგი იყო

1988 წლის 26 მაისს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა უმანგი სიღამონიძის ერცელი სტატია „ოქტომბრის პირში – გარდაქმნილ დაბრუნებული 1918 წლის 26 მაისი ქართული ეროვნული ხახვლმ წიფოებრობის აღდგენის დღე“ ეს სტატია ძალზე საგულისხმოდ მიგვაჩნია და უმანგი სიღამონიძის, როგორც XX საუკუნის საქართველოს ისტორიის მკვლევრის რეაბილიტაციის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს. ალბათ, ფრიად სიმპტომატურია ისიც, რომ სტატია დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“, რომელმაც 16 წლის წინათ ამის გამო უმანგი სიღამონიძე სრულიად დაუმსახურებლად გაათათხა, გალანძღა და მიწასთან გაასწორა ახლა კი ამ საკითხზე მისი ერცელი სტატია გამოაქვეყნა აქ აისახა საცესებით რეალური ეთარება. პირველ შემთხვევაში ბოლშევიკურ ტოტალიტარული რეჟიმი მტყაკრობდა და წარსულზე მრავალკარიანტული შესველეხა იკობა-ღებოდა, ხოლო, მეორე შემთხვევაში კი, ტოტალიტარულ-ბოლშევიკურ რეჟიმს წყალი შეუღდა და წარსულზე სიმართლის თქმა შესაძლებელი შეიქნა, დღეს ვვლავ წერს 1918 წლის 26 მაისის აქტის პროგრესულობის შესახებ, მაგრამ, არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ უმანგი სიღამონიძე იყო პირველი ისტორიკოსი, რომელმაც

ჯერ კიდევ ბოლშევიკურ ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში გაბედა ამის თქმა, რაც დიდი გმირობა იყო და ამისათვის მას მთელი სასამართლო მოუწევს სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მკვლევარი გაუგონარ მკრეხელობას სწადის და რატომღაც იფიქრებს ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, ამით ისინი გაუმართლებელ გულგრილობას იჩენენ წინამორბედების მიმართ

ზუსტად ორი წლის შემდეგ, 1990 წლის 26 მაისს იმავე გაზეთმა – „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა უმანგი სიღამორიძის ვრცელი სტატია – „ეროვნული საბჭო – საქართველოს პარლამენტი“ ავტორი ამ სტატიაში აშუქებს ეროვნული საბჭოს როლს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში თემა არის საინტერესო და აქტუალური, საკითხის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ეს პრობლემა რატომღაც მივიწყებული ან, უპირატესად, ტრენდციურად იყო გაშუქებული „1938 წლის 26 მაისს, ქართული სახელმწიფოს აღდგენის დღეს, უკვე მესამე წელია ოფიციალურად ვზეიმობთ, მაგრამ ნაკლებ შესწავლილი გვაქვს ბევრი ისეთი მოვლენა, რამაც ეს დიდი ისტორიული დღე განაპირობა, მთელი რიგი ისტორიული ფაქტებისა ჯერ კიდევ ელის გაშუქებას, წარმოჩენას, რათა ჩვენმა ხალხმა თავისი ისტორია შეიცნოს და ამ გზით დღევანდელი დღე კარგად გაიგოს, ხეაღინდელი განჭვრეტოს ის ტორია მასწავლებელია, ისტორიული ცოდნის გარეშე დღევანდლობის ახსნა შეუძლებელია

საქართველოს ისტორიის მკვლევრებმა თავის დროზე თავსმოსვეული ისტორიული კონცეფციებიდან გამომდინარე, დაივიწყეს 26 მაისი და ის პოლიტიკური ორგანოები, პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებმაც დიდი ისტორიული მისია შეასრულეს და ქართველ ხალხს მოუპოვეს სახელმწიფო, ვის დაუბრუნეს მისი ბუნებრივი მდგომარეობა

ჩვენს ისტორიაში მივიწყებულია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელმაც ქართველი ხალხის უახლოეს წარსულში უდიდესი როლი შეასრულა, ადადგინა ქართული სახელმწიფო“ – წერდა უმანგი სიღამორიძე.

სტატიაში უამრავი ფაქტობრივი მასალის მოხმობის საფუძველზე ხაზგასმულია, რომ „საქართველოს პარლამენტმა დიდი ისტორიული როლი შეასრულა ქართველი ხალხის ცხოვრებაში მან

მომზადდა და გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, აღადგინა დაკარგული სახელმწიფოებრიობა თავისი, ვერ აღმასრულებელი და შემდეგ საკანონმდებლო მოღვაწეობით მან საქართველოს ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა“ და სასრულს ავტორი ცდილობს საქართველოს წარსული დაუკავშიროს თანადროულობას და დაძვინჯოს. – „დღეს საქართველოში დიდი ეროვნული მოძრაობაა, ჩვენი პოლიტიკური ისტორიის ცოდნა, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიული გამოცდილება დღევანდელიასასისხვეთოდ უნდა წაადგეს“ კომუნისტური რეჟიმის დროს 26 მაისის ხსენება პოლიტიკური დანაშაული იყო ერთადერთი სტრუქტურა, რომელსაც კარვად ახსოვდა 26 მაისი და მას „აღნიშნავდა“, იყო ჩეკა. მაგალითად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, თავატრებში ისხდნენ ჩეკას თანამშრომლები და ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ცველაერს, რათა რაიმე არ მომხდარიყო გაზუთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა ამ ორმა სოლიდურმა სტატიამ სამართლიანობის აღდგენის უკერტურად გაიფიქრა და ძალიან კარგი ფონი შეუქმნა უშანგი სიღამონიძის სადოქტორო დისერტაციის დაცვას

ისტორიას აქვს განვითარების თავისი კანონები უხეში აღმინის ტრაციული ჩარევით, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით შეიძლება შეანელო ისტორიული პროცესები, მაგრამ მას ვერ შეაჩერებ 1972 წელს უშანგი სიღამონიძეს გაუუქმეს მინიჭებული სამეცნიერო ხარისხი და მხოლოდ 18 წლის შემდეგ აღსდგა სამართლიანობა 1990 წლის 3 ივლისის დაინიშნა უშანგი სიღამონიძის სადოქტორო დისერტაციის დაცვა შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო უბრალო ფორმალობა პოლიტიკური კონიუნქტურა შეცვალა და ახლა ჭეშმარიტებას წინ აღარაფერი ედგა. მრავალვარიანტული შეხედულებები წარსულზე კი არ იდევნება, როგორც ეს სულ ცოტა ხნის წინათ იყო, არამედ ფართო ასპარეზზე გამოდის ერთი ხიტივით, უშანგი სიღამონიძის დევნის პოლიტიკურ კონიუნქტურული მოტივები გარდაქმნის და დემოკრატიზაციის დროს წარსულს ჩაბარდა რა თქმა უნდა, ეს იმას რაფი ნიშნავს, რომ, თითქოს, დისერტაციის დაცვის დროს მეცნიერული კამათი არ იყო და ცველა უშანგი სიღამონიძის ნაშრომი მიიღო, როგორც უკანასკნელი ჭეშმარიტება. არა, ეს ასე არ ყოფილა მიუღო რაც პრინციპულ საკითხ-

ებზე იყო სჯა-ბასი, აზრთა სხვადასხვაობა, ეს ნორმალურია – დისერტანტი თავის პოზიციებს იცავდა, ოპონენტები – თავისას სამეცნიერო საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი უშანგი სიღამონიძისათვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს ის მინიჭებას ბოლოს და ბოლოს მან მიიღო ის, რაც დღეი ხანია ეკუთვნოდა „სამართალმა პური ჭამა“ – ამ პრობლემატიკას ეხმარება ინტერვიუ პროფ. უშანგი სიღამონიძესთან და პროფ. გურამ ყორანაშვილთან, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „სამშობლოში“ 1989 წლის 26 მაისს

1990 წელს გამოვიდა ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის ნიუ ფორდანის მოვონების წიგნი – „ჩემი წარსული“ ეს წიგნი პირველად პარიზში გამოიცა, შემდეგ რუსულადაც გამოაქვეყნეს ამერიკის მეერთებულ შტატებში, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, აქამდე ქართულ ენაზე არ მოგვეპოვებოდა ალბათ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ რედაქციამ ამ მოვონებებზე პატარა წერილის დაწერა სწორედ უშანგი სიღამონიძეს მიანდო ეფიქრობთ, ეს შემთხვევითი არ ყოფილა და მასში უშანგი სიღამონიძის, როგორც ამ ეპოქის კომპეტენტური მკვლევრის რეაბილიტაციის კიდევ ერთ გამოვლინებას ვხედავთ

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს პოლიტიკურ საექტრში ნიუ ფორდანია, უდავოდ, ერთ-ერთი თვალსაჩინო, კოლორიტული ფიგურა იყო ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მისმა მოღვაწეობამ უმალ მიიპყრო როგორც თანამედროვეების, ისე, მოგვიანებით, ისტორიკოსების ყურადღება და ცხარე სჯა-ბასის საგნად იქცა

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ერთგვაროვანი არ იყო ნიუ ფორდანის პოლიტიკური ფიგურისადმი ქართული ემიგრაციის დამოკიდებულება რა თქმა უნდა, მას ჰყავდა თავისი მომხრეები, რომლებიც მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ, მაგრამ არც პოლიტიკური ოპონენტები მოკლებია არასდროს ისინი ნიუ ფორდანის მოღვაწეობას კლასობრივი პოზიციებიდან კი არ უშზერდნენ, არამედ პატრიოტულ პლატფორმაზე იდგნენ და მას „გამფიქველს“, „ერის მოღალატეს“ უწოდებდნენ შემდგომში, მართალია, მათი ერთი ნაწილი ერთგვარად მოლაბა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც შეურიგებელ პოზიციაზე დარჩნენ მათი ლიდერი იყო რევანტ გამამვილი

საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება ნოე ფორდანიას მოღვაწეობისას მკვეთრად, გამოკეთილად ნება ტოვებდა იყო ასეთ შეფასებას ტონი მისცა ლეონტი ბერიას წიგნმა – „ამირკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ამ თვალსაზრისით შემდგომ წლებში ბევრი არაფერი შეცვლილა და ნოე ფორდანიას სახელი უპირატესად უარყოფით კონტექსტში ფიგურირებად

უშანგი სიღამონიძემ თავის მონოგრაფიაში სცადა, მიეცა ნოე ფორდანიას მოღვაწეობის ობიექტური, მეცნიერული შეფასება, მით უმეტეს, რომ 1990 წელს ამის გაკეთების გაცილებით უფრო ხელსაყრელი პირობები იყო, ვიდრე ოციწლიანი წლის წინათ იგი თავის სტატიაში – „ისტორიკოსის ბოლოიტმა“ – ფაქტობრივად ძალიან მოკლედ, ლაკონურად, ხსნარტად გადმოგვეცნა ნოე ფორდანიას პოლიტიკური პორტრეტის ძირითად შტრიხებს

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ უშანგი სიღამონიძე ცდილობს, თავიდან აიცილოს ორი უკიდურესობა – ნოე ფორდანიას მოღვაწეობის აპოლოგია ან მისი განჭიქება, მიწასთან გასწორება, მას სურს გამოიძნოს რაღაც მუალედური ხაზი ასეთი გაწონასწორებული მიდგომა, ცხადია, მისასაღმებელია ამ რთულ მისიას უშანგი სიღამონიძემ, ჩვენი აზრით, ურიგოდ როდესაც გართვა თავი

„ნოე ფორდანიას პოლიტიკურ ბიოგრაფიაში მამინდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ასახული ბედუქუღმართი, წინააღმდეგობებით აღსავსე ნატანგი თვითონაც (ეი ნოე ფორდანი – მ კ) არ იყო მთლიანი, ერთიანი მთელი მისი ცხოვრება საქართველოსათვის მისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი იდეების მორგების წარუმატებელი მცდელობა იყო“ - აღნიშნავს უშანგი სიღამონიძე

ისევე, როგორც ნებისმიერი პოლიტიკოსის ბიოგრაფიაში, ნოე ფორდანიასაც ჰქონდა წარმატებები, როდესაც ის ქართველი ხალხის ბელადად შერაცხეს, და ჩაყარდნები მეტად რთული და წინააღმდეგობრივი იყო მისი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძესთან ილია აქქერტის აკეთებდა ეროვნულ საკითხზე, ხიჯო ნოე ფორდანიას წინ წამოწედა სოციალურ პრობლემებს

„ნოე ფორდანიას და მისი პარტია, ყოველ შემთხვევაში მისი უდიდესი ნაწილი წლების მანძილზე დაუნდობლად ებრძოდა ეწ „ნაციონალ

ისტებს“, ქართული ეროვნული საქმის შესწავრებს ამ ბრძოლაში საოცარი ის იყო, რომ იგი 1918 წლის 26 მაისით დაითავრდა ამ დღეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წინაშე ნიუ ჯორჯთანამ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ გამოაცხადა მან პოლიტიკური მოღვაწეობის რთული გზა განვლო მთელი ცხოვრება ის ქართველ მოღვაწეთა მთელ თაობას უპირისპირდებოდა და ბოლოს მათი მიზნების განხორციელებისათვის ყველაზე აქტიურად იბრძოდა“ - აღნიშნავდა უშანგი სიღამონიძე

მნიშვნელოვანწილად, ნიუ ჯორჯთანას მოქნილი პოლიტიკის შედეგია ის გარემოება, რომ 1918 წლის 26 მაისმა უსისხლოდ ჩაიარა

1921 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა ჯარების ანექსიის შემდეგ ნიუ ჯორჯთანა ემიგრაციაში წავიდა საკითხი მეტად რთული და მრავალწახნაგოვანია მთავარია, რომ უშანგი სიღამონიძემ მოგვცა ამ პრობლემის საკუთარი ხედვა

დღეს ნიუ ჯორჯთანას პოლიტიკური მოღვაწეობის გაშუქებას არაფერი არ უშლის ხელს და ისტორიკოსებზე საკმაოდ ბევრს წერენ ამ თემაზე, მაგრამ არ უნდა დავაყოფო დღეს, რომ პირველი თუ არა, ერთ ერთი პირველი, რომელმაც ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დროს სცადა ნიუ ჯორჯთანას პოლიტიკური საქმიანობის მეცნიერული შეფასება, პროფ უშანგი სიღამონიძე იყო ეს მკვეთრად გამოარჩევდა მას იმდროინდელი, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე ამიტომ, ამ სფეროში უშანგი სიღამონიძის ღვაწლის სასზეათაშორისო მოხსენიება, მიჩქმალვა, მიზნობა მისიანწინააღმდეგ არ მოგვანია. ყველა მკვლევრის ვალაია, ღირსეული პატივი მიაგოს თავის წინამორბედებს

1991 წლის თურანამა – „ლიტერატურა და ხელოვნება“ – გამოაქვეყნა უშანგი სიღამონიძის საინტერესო ნაშრომი – „1917 წელი და საქართველოს ეროვნული მოძრაობა“ ამ ნაშრომში ავტორი, შეცვლილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ვაკილვებით უფრო თამამად ანეითარებს იმ ძირითად დებულებებს, რომლებიც მან წამოაყენა თავის წიგნში ჯერ კიდევ 1970 წელს და რის გამოც ის ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის დროს არსებული პოლიტიკური კონსერვატივის გათვალისწინებით პირდაპირ გვარს აცქეს, ადგილზე ჩაქოლეს

ქართველი პოლიტიკოსების ერთი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენით იწყებოდა საქართველოს ისტორიაში სრულიად ახალი ეტაპი, რომელსაც, მათი ღრმა რწმენით, საერთო არაფერი გააჩნდა საქართველოს წარსულთან და, აქედან გამომდინარე, ახლად აღმოცენებული ქართული სახელმწიფო ქართული ისტორიული პროცესის კანონზომიერებაში არ თავსდებოდა სინამდვილეში ეს ასე არ იყო რა თქმა უნდა, 1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის აქტი ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, შემთხვევითი არ ყოფილა – ის საქართველოს ისტორიული განვითარების ლოგიკური შედეგი იყო „აფეკრადაც, 1918 წლის 26 მაისის აქტი საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, ქართული სახელმწიფოს აღდგენა-შენარჩუნებისათვის ბრძოლის ისტორიული ფაქტია და ის მხოლოდ ამ თვალსაზრისით არის დიდი და განუმეორებელი ჩვენი ხალხისათვის“ – აღნიშნავდა უშანგი სიღამონიძე

„26 მაისის აქტი არ ყოფილა აქტი შემთხვევითი, აქტი უცაბედი, მოგონილი რომელიმე პირის, ვგუფის ან პარტიის მიერ ეს აქტი იყო ისტორიული აუცილებლობა და ხალხის გულიდან ამოხეთქილი ამ აქტით საქართველო გადაურჩა განადგურებას“ ასე აფასებდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას ნოე ყორანია „ეს ქართულ სოციალ-დემოკრატიულ აზროვნებაში იშვიათი გამონაკლისი იყო, როცა მათ თავიანთი პოზიცია პროგრესული ეროვნული იდეებით შეცვალეს. მანამდე კი, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში დამკვიდრდებოდა, ქართული, ეროვნული საკითხი საქართველოს პოლიტიკურ-მომდინარეობათა ურთიერთდაპირისპირების ძირითადი მიზეზი იყო“ – წერდა უშანგი სიღამონიძე.

საესებით ვეთანხმებით ავტორს, რომ „ქართული მენშევიზმის ისტორია შეუსწავლელია, ქართული საბჭოთა ისტორიული შეცნორება სხვა პარტიებს, ე. წ არაპარლენტარულ პარტიებს, ისტორიის მეცნიერული კვლევის ობიექტად არ სცნობდა ამას ემატებოდა ქართველი სოციალ-დემოკრატების უარყოფითი დამოკიდებულება ქართული ეროვნული საკითხისადმი, რაც საკითხის შესწავლის ხალხის უკარგავადა ქართველ ისტორიკოსებს“

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორია აკრძალული თქმს იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ახლა ის თავის კუთვნილ ადგილს იჭერს, ამ მიმართულებით შეცნიერული კვლევა სულ ახალ-ახალ ისტორიული ფაქტებს წარმოაჩენს ჯერ კიდევ თუნდაც მიახლოებით არ არის გამართული XX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორია ეს ხანა ჩვენს ისტორიოგრაფიაში ცალფად იყო წარმოდგენილი მაშინ, როცა ჩვენი საუკუნის ისტორია მწვავე პოლიტიკური ურთიერთდაპირისპირებულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა ბრძოლის ისტორიაა, ამ პოლიტიკური დაპირისპირების ძირითადი საკითხი კი ქართული ეროვნული საკითხი იყო, რომელიც ქართული სახელმწიფოს აღდგენით დამთავრდა ამასთან, ჩვენი საუკუნის ისტორია, ეს პოლიტიკურ პარტიათა შექმნა-განვითარების ისტორიაა“ – წერს უშანგი სიღამონიძე

საესებოთ გასაგებია უშანგი სიღამონიძის გულისტკივილი იმის გამო, რომ ინტერპარტიული საბჭოს საქმიანობა ჩვენს ისტორიოგრაფიაში საესებოთ მიეფიცებული იყო და ეს მაშინ, როდესაც ინტერპარტიულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში თავისი წვლილი შეიტანა

უნდა დავეთანხმოთ ავტორს იმაში, რომ „1904 წლის ფენევის კონფერენცია ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე სათანადოდ არაა დაფიქსირებული, პირველად სწორედ აქ დაისახა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა – „ფენევის 1904 წლის კონფერენციით იწყება თვისობრივად ახალი ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის“ – წერს უშანგი სიღამონიძე.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის აღნიშნული ეპოქის საქართველოს ისტორიის ახლებური გაშუქების მთელი პროგრამა, რომლის გზაზე პირველი ნაბიჯი, სწორედ, უშანგი სიღამონიძემ გადადგა

ამრიგად, ვფიქრობთ, არ გადავტარებთ თუ ვიტყვი, რომ უშანგი სიღამონიძემ, ფაქტობრივად, აღნიშნული ეპოქის საქართველოს ისტორიის კვლევის სფეროში სრულიად ახალ მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი ეს იმით გამოიხატებოდა, რომ, არსებითად, უშანგი სიღამონიძე იყო პირველი, რომელმაც სცადა, მოეხდინა საქართველოს უახლესი ისტორიის საკვანძო საკითხების ორთოდოქსულ-მარქსისტული, პოლიტიკურ-კონონქტურული გააზრების ობიექტური,

მეცნიერული რევიზია, რის გამო მას თავს დაატყდა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს რისხვა და მისი წამოწვევა ადგილზე ჩაქოლეს 90-იან წლებში, როცა მკვეთრად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება, სამართლიანობა აღსდგა – უშანგი სიღამონიძემ გაიმარჯვა, ხოლო მისი მოწინააღმდეგე, რომლებიც პოლიტიკურ კონინგტურას იყვნენ ამოყარებული და საყრდენი გამოეცალათ, საბოლოოდ დამარცხდნენ უნდა ითქვას, რომ მოუხედავად ჩაქოლისა, უშანგი სიღამონიძის ხაზი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და XX საუკუნის ბოლოს სფინქსითი ფერფლიდან აღსდგა, ეს არის თავისებური შუქურა, რომელიც გზას გაუნათებს XXI საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიას

„ინფორმაციის და ძველთა ნუსხის განყოფილების, რომელსაც სათავეში ედგა პროფ უშანგი სიღამონიძე, მონაწილეობით ქრცილოპედის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ გამოაქვეყნა „საქართველოს ძველთა აღწერილობის“ მრავალტომეულის მეხუთე ტომი, რის გამოც, უშანგი სიღამონიძეს, ავტორთა კოლექტივთან ერთად, სახელმწიფო პრემია მიენიჭა

ბოლო წლებში უშანგი სიღამონიძე ხშირად ავადმყოფობდა. მის ჯანმრთელობას, რა თქმა უნდა, დიდი კვალი დააჩნია იმ დღეებამ, რომელიც თან მოჰყვა სადოქტორო დისერტაციის დაცვას გარკვეულწილად ამით იყო გამოწვეული, რომ უკანასკნელ ხანებში ის უკვე ინტენსიურ მეცნიერულ შუამობას ვეღარ ეწეოდა

არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე პროფესორ უშანგი სიღამონიძეს ორი დიდი დამსახურება აქვს 1 საქართველოს უახლესი ისტორიის საკვანძო საკითხების ახლებური გაშუქება, 1918 წლის 26 მაისის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის რეანიმირება, 2 ისტორიული მეცნიერების შესავლის პრობლემების დამუშავება წიგნში – „ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები“

* * *

უშანგი სიღამონიძეზე საუბარი მოგონებებით გვინდა
დავასრულოთ

მეცხობრის ბახსძეობა

უშანგი სიღამონიძე გახული წლის ნოემბერში აღესრულა 68 წლის ასაკში პროფესიით იგი ისტორიკოსი გახლდათ, მაგრამ იგი ამ სპეციალობისა ოდენ პროფესიით, განათლებით კი არ იყო, არამედ მოწოდებითაც, მას, რაც საკმაოდ იშვიათია დღევანდელ ქართველ ისტორიკოსთა შორის, განსხვავებულს, ჩვენი ისტორიული ხსოვნის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლო, გარდა ამისა, იგი ბუნებით დაჯილდოებული იყო არაჩვეულებრივი შესაქიერებით – თითქოს მისი თავი რამდენიმე უახლესი გამოშვების კომპიუტერის ატარებდა

საერთოდ, საბჭოური ხანის ისტორიკოსები იშვიათად თუ იყვნენ ამოვარდნილი ჩვეული, კონფორმისტული კალაპოტიდან ამგვარი გამოჩვეულების მგალითს წარმოადგენდა განსვენებულის ნაშრომი, რომელიც ეხებოდა ჩვენი „ატარა ოქროს ხანის“ (კარლო ინა ხარიძე) საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიას იგი გამოქვეყნებული იქნა 1970 წელს მოგეხსენებათ, დიდი გამართლება აქვს რომაელთა გამოთქმას – „წინებსაც აქვთ თავიანთი ბედ იტალია“ და ამას უშანგი სიღამონიძის ეს ნაშრომიც მშვენივრად ადასტურებს, მასში გადმოცემული იყო სულ სხვა საზოგადოებრივ პოლიტიკური მიმართულებანი, რომელთა ფონზეც ბოლშევიკურ კო მუნისტური დოგმატური აზროვნება დიდად ფერმკრთალდებოდა კერძოდ, გადმოცემული იყო ბიოგრაფიები იმ პიროვნებებისა, რომელთა სახეები სპეციალისტებისთვისაც კი უცნობი იყო წიგნის მთავარი „ერეტიკული“ იდეა ის გახლდათ, რომ ქართველი ბოლშევიკ კომუნისტების მარცხი 1917 21 წლებში და შესაბამისად, სხვა პოლიტიკური მიმდინარეობების გამარჯვება, ახსნილი იყო ეროვნული საკითხებისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომით თუ პირველი მას იგნორირებდნენ, მეორენი პირიქით – დიდ ყურადღებას აქცევდნენ, რაც საყსებით ბუნებრივი იყო ბოლოს და ბოლოს, მაინცვე ქართველო-

ბის უმეტესობამ შეიგნო, რომ ისტორიულად გამართლებული იყო ილიასეული სტრატეგია – როდესაც ვინც დაშინებულია, მას წართმეული აქვს ეროვნული სახელმწიფოებრიობა, მაშინ აუცილებელია ერის გაერთიანება შემჭიდროვება უპირველესად ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად

ამაჟამად ეს „ერესი“ ელემენტარულ კვანძებზედ აღიქმება, მაგრამ იშხანად განსხვავებული წიგნის გამოსვლას ბნელი, რეტროგრაფული ძალების მხრივ სულ სხვაანაირი რეაქცია მოჰყვა იქამ დისაც კი მივიდინენ, რომ წიგნის ავტორს გაუუქმეს დაცული საღიჯტორო დისერტაცია, ხოლო, როცა 1972 წელს სკკპ მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ე. წ. საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის შესახებ ნეკატორი პოზიცია გამოხატა, განტყვების ერთ-ერთ ობიექტად სწორედ უშანგი სიღამონიძის აღნიშნული ნაშრომი დაასახელეს ძნელი არაა წარმოვიდგინოთ, თუ რა სულიერი ფსიქოლოგიური განცდები დაეუფლებოდა ავტორს მაგრამ, მისდა სასახლოდ, ფარ ბმალი არ დაუყრია და კლავაკ განაგრძობდა ჩვენი უახლოესი ისტორიის მიწმამთებულ-ფაღისი ფიციბრებული მხარეების გამოშვეურებას

როდესაც საქართველოს სახალხო ფრონტის ინიციატივით მამ ინდელ უმაღლეს საბჭოში დასვა საკითხი 1921 წლის თებერვალ მარტის მოვლენების სხვაგვარი გააზრებისა და შეფასების თაობაზე, უშანგი სიღამონიძე რამდენიმე პირთან ერთად აქტოურად მონაწილეობდა დებუტატების სწორი საისტორიო განათლების საქმეში და სწორედ მაშინ დადასტურდა რუსი ისტორიკოსის ვასილი კლიუჩევსკის აზრი იმის შესახებ, რომ ისტორიოგრაფია გამოყენებითი პოლიტიკა გახლავთ

ზემოხსენებული „ფათერაკით“ უშანგი სიღამონიძემ უთუოდ დაიმკვიდრა ადგილი უახლესი ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში მტკიცედ მჯერა, რომ მრავალი ათეული წლის გავლის შემდგომაც კი, მომავალი ქართველი ისტორიკოსებისათვის განსვენებულის სახელი ცნობილი იქნება ამდენად, იგი თავისი საქმით დარჩება ერთარცა მარად ცოცხალი

გურამ კორანაშვილი

ბაშოსათხრობარი

უშანგი სიღამონიძეს თავისი ცხოვრება არასდროს გაუფწია თავისი პროფესიისაგან, მისი პროფესია კი იმგვარია, რომ იგი თვით არის დაკავშირებული საქართველოს ბედთან წლების მანძილზე ვერ კიდევ სრულებით ახალგაზრდა უშანგი სიღამონიძე იყო ვერ ერთა დერთი, შემდეგ კი ერთი მცირერიცხოვანთაგანი თავისი სპეციალობაში, ვინც იცოდა კიდევ ზედმიწევნით თავისი კვლევისა და შესწავლის საგანი – ჩვენი საუკუნის საქართველოს ტრავიკული ისტორია – და გამბედაობაც შესწევდა თავისი მეცნიერული კვლევის შედეგებისა და დასკვნების საჯარო გაცხადებისათვის თავისი კომპეტენტით უშანგი ძალიან მალე გახდა ერთადერთი პატრიოტი ქართველი, ვისაც შეეძლო კამათი მოწინააღმდეგე ბანაკის ყველაზე დღესა და სახიფათო ვეშაპთან – ოფიციალური „იდეოლოგიზირებული“ და გაყალბებული ისტორიოგრაფიის ყველაზე მომზადებულსა და ხან დაზნულ წარმომადგენლებთან, რომელთაც ზედმიწევნით იცოდნენ ფაქტები, მაგრამ მათ ყალბ ინტერპრეტაციას აძლევდნენ უშანგი ეკამათებოდა მათ საქართველოს ინტერესთა დაცვის პოზიციებიდან, რომლებიც, საბედნიეროდ, მეცნიერული ობიექტურობის პოზიციას ემთხვევა, და ყოველთვის – მე ხაზს უესვამ, ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა

უშანგი სიღამონიძე თავისი სპეციალობასთან შემთხვევით არ მისულა იმის ობიექტური ანალიტიკური ცოდნა, თუ რამ მოგვიყვანა 1921 წლის კატასტროფამდე, რა მოხდა მანამდე და მის შემდეგ, უშანგის მიერ მთელი სიღრმითა და მასშტაბურობით შეცნობილი ამოცანა იყო მისი წიგნი, რომელსაც შენიღბულად მორიდებული სათაური ერქვა – „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების ისტორიოგრაფიაში“ – იგივეა ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში, რაც „ეკაყოს ხიზნები“ მსატერულში უშანგიმ მეცნიერულად, ანალიტიკურად და უღმობელი სიმართლით აღწერა ის, რაც მოხდა – აღწერა იმისათვის, რომ მომავალ თაობებს ხელი აზრისა და არგუმენტის იარაღი ჰქონოდათ და ამას მიაღწია კიდევ არავისთვისაა საეჭვო, რომ საქართველოს ისტორიის ერთი ნაკლებ მხაურანნი, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტი – თვით კომუნისტური რეჟიმისდროინდელი უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს ოკუპირე

ბუღიბისა და ანექსირებულობის ფაქტის ცნობა 1990 წლის 9 მარტს – ამ მეცნიერულად გამართულმა და, ამდენად, მოუგერიებელმა ისტორიულმა ცოდნამ განაპირობა.

ამ წიგნის დაცვამ სადოქტორო დისერტაციად ერთი მკაფიო ფურცელი შეადგინა ქართული მეცნიერებისა და მისი არამეცნიერული ორგანიზაციის ისტორიაში ერთი მხრივ, ეს იყო ბრწყინვალე დაცვა, რომელშიც დისერტანტმა, როგორც იტყვიან, ბეჭებზე დააღ ავა თავისი მრავალრიცხოვანი აგრესიული ოპონენტები სულ ცოტა 8 საათის მანძილზე, რისთვისაც სამეცნიერო საბჭომ უყოფმანოდ მიანიჭა მიტებული ხარისხი, მეორე მხრივ, ეს იყო პირველი შემთხვევა ცნობილი ფილოსოფოსის, კოტე ბაჭაძის დაცვის შემდეგ 1939 წელს, როცა სამეცნიერო საბჭოს მიერ მინიჭებული სამეცნიერო ხარისხი კაცს ადმინისტრაციული ძალით წართვეს ერთი ქარხნის დირექტორმა, „ტეკას“ წევრმა, რომელსაც, ცხადია, მეცნიერებაში არა გაეგებოდა რა, უბრადა კიდევ, „რემ მუშებს რომ ვუთხრა ცოცხალს დაგველენო“ ამ ღემარშს, რომელიც კომუნისტების ზეობაში მოხდა, უშანგი არც გაუკვირებია, არც შეუშინებია

დღეს, გაჭირვების მიუხედავად, მეცნიერება თავისუფალია და უშანგის როლი მასში იყო მკვლევრისა კადრების აღმზრდელისა და ხელმძღვანელისა იგი დროზე ადრე გამოაკლდა თავის დარგს, რომელსაც დღესაც შევძილია და განსაკუთრებით შევძილია – ფონტი ეუწოდოთ გამოგვაკლდა მეგობრებს, გამოაკლდა თავის ტბილ და დღეს გამწარებულ ოჯახს

მშვიდად იძინე, ჩემო უშანგი მსუბუქი იყოს შენს გულზე საქართველოს მიწა

ნოდარ ნათაძე

მეცხობრივ და მრეწველურ

1970 წელს გამოქვეყნდა უმანგი სიღამონიძის შესანიშნავი წიგნი – „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია“

წიგნმა საზოგადოებაში სკანდალის ეფექტი მოახდინა და უმაღლესი მთავრობის წევრების ურადღებმა ისტორიკოსებმა კარგად უწყინან უ სიღამონიძის ამ უნიკალური ნაშრომის შესახებ, მაგრამ, ჩვენ გვინდა ფართო საზოგადოებას გაეახსენოთ იგი

ახლა, როცა, შეიძლება ითქვას, ყველა ყველაფერს წერს და კითხულობს, აღარც კი გვეუბრა, რომ ცოტა ხნის წინ, დასაწყისიც და წასაკითხიც შეკარგად ისაზღვრებოდა ქართველი საზოგადოებისათვის 1895 წლამდე, ე ი „პროლეტარული ეტაპიდან“ 1921 წლამდე – საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი და პოლიტიკური მოძრაობის ისტორია არ არსებობდა არსებობდა მხოლოდ ბოლშევიკური პარტიისა და პროლეტარული პროლეტარული მოძრაობის ისტორია

მატონმა უმანგი სიღამონიძემ 20-იანი წლების პერიოდის შემდგომი თაობების ისტორიკოსთაგან, პირველმა განიხილა და გადმოგვცა XX ს-ის პირველი მეთოთხედის ისტორია – ობიექტური თვალთახედვით მან ეს პერიოდი ხელახლა „აღმოაჩინა“ ქართველი საზოგადოებისათვის

მანამდე, უ სიღამონიძის ნაშრომის გამოქვეყნებამდე, საზოგადოებამ იცოდა, რომ საუკუნის დასაწყისის ოცწლეულში, საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ ი სტალინი, ა წულუკიძე, ფ მახარაძე, ს შუშანიანი, ხ ორჯონიძე, ხ სანდარიანი სხვა დანარჩენნი თუ არსებობდნენ, მხოლოდ ხელს უშლიდნენ ხალხის სამსახურში ჩამდგარ ამ „დევემირებს“

უმანგი სიღამონიძის წიგნში მკითხველმა ამოიკითხა, რომ თურმე სხვა პოლიტიკური მოღვაწეებიც ყოფილან საქართველოში, რომელთაც ხალხისა და ერის სუბილდი აწუხებდათ ისტორიკოსის წიგნში, საბჭოურ ეპოქაში პირველად წარმოჩნდა დადებითი კონტექსტში არჩილ ჯორჯაძის, გრიგოლ რცხილაძის, სამხონ ფორცხალავას, გიორგი გვახავას, გრიგოლ ვეშაპელის, ნიუ ფორდანიას, აკაკი ჩხენკელის, ნიუ რამიშვილისა და სხვა გამოჩენილ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა სახელები

ავტორმა ამ მოღვაწეთა მოკლე ბიოგრაფიებიც გამოაქვეყნა ესეც პირველი შემთხვევა იყო, როცა ქართველმა შკითხველმა, გარდა ბოლშევიკურენინელთა ვახუშტირებული და მოსაწყენად სქემატური ბიოგრაფიებისა, ზემოაღნიშნულ მიუწევებელ მოღვაწეთა ბიოგრაფიები იხილა

შანაშღე, ჩვენი საზოგადოება მხოლოდ ბოლშევიკი მოღვაწეების ნაწერ-ნააზრვეს იცნობდა

უშანგი სიღამონიძემ, პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში ფართოდ განიხილა და გააანალიზა გ ქიქოძის, გრ რცხილაძის, ნ ფორდანიას, ა ჩხენკელის, თ ლლონტის, გრ ვეშაპელის გ გვაზავას და სხვათა მიერ 1910-იან წლებში გამოცემული ნაშრომები, ბროშურები, წიგნები ამით ავტორმა საცნაურყო, რომ საუკუნის დასაწყისში ჩვენში დიდი პოლიტიკურ-ლიტერატურული შემკვიდრეობა შექმნილა, რომლითაც ქართველმა კაცმა უნდა იამაყოს. მკითხველმა საზოგადოებამ დიდი ხნის მანძილზე თითქოს პირველად იგრძნო, რომ მოხსენიებული პიროვნებანი მარტოოდენ „მარქსიზმის მტრები“ და „ბურჟუაზიული ნაციონალისტები“ კი არ იყვნენ, არამედ ღრმად ერუდირებული, მთაზროვნე და ქვეყნის ბედზე დაფიქრებულნი გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი

ბ-ნ უშანგი ხიღამონიძემ მათი მეცნიერული და სამოქალაქო რეპბლიტაცია მოახდინა თავის ნაშრომში, ესეც, რა თქმა უნდა, პირველად

უშანგი სიღამონიძემ, კვლავ პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში, საცნაურყო საზოგადოებისთვის, რომ, თურმე, საქართველოში სხვა პოლიტიკური პარტიებიც არსებულან, რომელნიც ხალხისა და ქვეყნის თავისუფლებისათვის იღვეწოდნენ. ეროვნულ-დემოკრატიები, სოციალისტ-ფედერალისტები, მენშევიკი სოციალ-დემოკრატიები

ამგვარი ეპიზოდები რომ ძირითად მიმართულებაში არ გადაზრდილიყო, ხელისუფლებამ სასტიკად გააკრიტიკა უ სიღამონიძის ნაშრომი, ნაშრომის ავტორს დატული დისერტაციის შემდეგ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი აჰყარეს და სამეცნიერო მუშაობის გაგრძელების საშუალება აღარ მისცეს...

უშანგი სიღამონიძე შესანიშნავი პიროვნება გახლდათ, უღრესად დახვეწილი ინტელიგენტი, ყურადღებანი მრჩეველი და მას წაუვლებელი მახსოვს, ჩემ (ამ წერილის ერთ-ერთი ავტორის) სტუდენტობის დროს, ახალი „აკრიტიკებული“ იყო, რომ ბატონ

უშანგისთან მიედი და საკურსო თემის ხელმძღვანელობა ეთხოვე მან ხელები გაასავსა და დაბეჯითებით მიხოვა „მე ხომ დამლუბეს ეხლა მე რომ ხელმძღვანელობაზე დაეთანხმდეთ, არც თქვენ დაგადგებათ კარგი დღე სჯობს ხელმძღვანელად სხვა ეინზე შუარჩოთ, მე კი არააფიციალური მრჩეველი ვიქნები როცა გენებოთ, მიზრძანდით“

ბოლოს, ერთი რამ გვინდა აღვნიშნოთ. უშანგი სიღამონიძის ჩენს მიერ განხილული ნაშრომი თავისებურ ძველად დარჩება საბჭოური ზანის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც მეცნიერული და მოქალაქეობრივი პროფესიონალიზმის, ობიექტურობისა და გამბედაობის ნიმუში

დომიტრი შველიძე

ნესტან კირთაძე

☺

უხეში ადმინისტრაციული ჩარევა

როდესაც ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დადგა უშანგი სიღამონიძის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისთვის მსვლელობის მიცემის საკითხი (წარმოდგენილი იყო მისი წიგნი), საბჭოს ზოგმა წევრმა, საკუთრივ, ბ-მა ილია მირცხულავამ, ნიკო მანარაძემ მოითხოვეს, რომ შრომისათვის მსვლელობა არ მიეცათ და თავის აზრს წიგნში გატარებული თვალსაზრისის ანტისაბჭოური განწყობილებით ასაბუთებდნენ საბჭომ მსვლელობა სადისერტაციო ნაშრომს მაინც მისცა მას მზარი დაუჭირა ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი მელიქიშვილმა და მოითხოვა დაეშვათ ნაშრომი საჯარო პაექრობაზე

საბჭოს სხდომაზე მომხდარის გამო უშანგის ეუთხარი. – იცევი ხომ არ გეპარება შენს მიმართ ჩემს კეთილ განწყობაში“-მეთქი და რადგან დამიდასტურა, რომ ეცევი არ ეპარებოდა, ვურჩიე გამოეტანა

ნაშრომი, რადგან ვთვლიდი, რომ მისი მოწინააღმდეგენი საბოლოოდ მაინც გაიტანდნენ თავისას „შენმა წიგნმა, – ეუთხარი, თავისი კარგი საქმე გააკეთა, მან თავისი მისია შეასრულა, ახალგაზრდა, ენერგიული ხარ, აიღე სადისერტაციო თემად რაიმე ნეიტრალური საკითხი და უპრობლემოდ მიიღებ დოქტორის ხარისხს“ მაგლობა მითხრა ყურადღებისათვის, მაგრამ დარწმუნებული იყო საქმის დადებ ითად გადაწყვეტაში, არ დამიშალა და მითხრა, რომ მას შხარს უჭერდა ნიკოლოზ სტურუა – ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და დვეი სტურუა, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მაშინდელი მდივანი იდეოლოგიის დარგში, რომელიც დიდ ანგარიშს უწყევდა თავის ბიძაშვილს – ნიკოლოზ სტურუას. არ ვუიქრობდი და არც ახლა ვუიქრობ, რომ ნიკოლოზ სტურუა იზიარებდა უშანგის მეც ნეიტრულ პოზიციას, მაგრამ ისინი ძალიან ახლო მეგობრები იყვნენ და ეტყობა ეს პირადი ურთიერთობა განაპირობებდა კოლიას პოზიციას შედეგა დაეცა, მიუხედავად ოპოზიციის მკაცრი გამოხვლისა, მიუხედავად რამდენიმე უარყოფითი ხმისა, საბჭომ ხმა მისცა უმანგისთვის დოქტორის ხარისხის მინიჭებას ამის შემდეგ დაიწყო საჩივრები პარტიულ ორგანოებში, რასაც შედეგად მოჰყვა თბილისის კომიტეტის დადგენილება უშანგი სიღამონიძისთვის ხარისხის ჩამორთმევის შესახებ, მაგრამ, რადგან ამის იურიდიული უფლება მას არ ჰქონდა, გაიცა განკარგულება მოუწვათ საბჭოს სხდომა და იმდებ საბჭოს, რომელმაც მიანიჭა უშანგის ხარისხი, მისთვის უნდა ჩამოერთმია მინიჭებული დოქტორის ხარისხი საბჭოს თავმჯდომარემ (გრ მარგინი) დააყენა საკითხი და მოითხოვა კენჭისყრის ღია წესით ჩატარება იყო რეპლიკა – რატომ ღია? ხარისხის მინიჭება ხომ ფარული კენჭისყრით ხდება, მაგრამ აშკარა იყო იმდები არ ჰქონდათ, რომ ფარული კენჭისყრით სასურველ შედეგს მიიღებდნენ და კენჭისყრა ღიად ჩატარდა საბჭოს წევრთა დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა ხარისხის ჩამორთმევის, მაგრამ საბჭოს რამდენიმე წევრის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მ თუ 9 აკცმა არ დაუჭირა შხარი ხარისხის ჩამორთმევის, თუმცა საკითხი გადაწყვეტილი იყო

აკად მარიაამ ლორთქიფანიძე

მონათესავე მემორბარზე

ვინც ერთხელ მაინც შეხვდებოდა სხვისთვის ბატონ უშანგის და ჩემთვის უბრალოდ უშანგის, კულარ დაივიწყებდა – იმდენი კვილოშობილება, გონიერება და მორცხვადი გამოუმეტყველება იხატებოდა მის გარეგნობასა და ლიბოში

მე მას ვიცნობდი და მასთან გამზანაღობდი სკოლის პერიოდთან იგი განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩვენში თავისი პასუხისმგებლობით, სიმეცხითა და მორიდებულობით როგორც პედაგოგების, ისე უფროსების მიმართ, ასევე ამზანაგებთან ურთიერთობაში იგი შწკობრიდან გამოსული არასდროს გვიანხავს, თავისი სიმეცხით თავის არ აღიზიანებდა, პირიქით – ყოველთვის ცდილობდა დახმარებოდა თავის ამზანაგებსა და მგებობებს მახსოვს, საკონტროლო შეცდომებისას როგორ ცდილობდა ვეღვა მოსწავლე მასთან ახლოს მგდარიყო, იმიტომ რომ საჭიროების შემთხვევაში მისგან გაწეული დახმარების იმედი ჰქონდათ

ჩვენი მეგობრული ურთიერთობა სკოლის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა, თუმცა სხვადასხვა პროფესიისადმი სწრაფვამ ნაწილობრივ მაინც დაგვაკავშირა – მე ექიმში გავხდი, ის კი – ისტორიკოსი მას ძალიან უყვარდა ჩვენთან ოჯახში სტუმრობა და მამაჩემთან საუბარი. მამა, პროფესორი პედაგოგი იაშვილი გერმანისტი გახლდათ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდა 1931 წლიდან გარდაცვალებამდე, 1989 წლამდე. იგი საინტერესო პიროვნება გახლდათ, უმაღლესი განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი იქა ჰქონდა მინიჭებული უშანგი ხშირად აყოლებდა ცხოვრების ყველა საინტერესო მომენტებსა და ებიზიდებს, თან რჩევასაც ეთხოვებოდა, ასე მოხდა მის სადოქტორო დისერტაციის ნაშრომთან დაკავშირებითაც

მან დეტალურად გააცნო მამას შრომის დედაარსი და მოსთხოვა მისი აზრი გამოეთქვა მე ძალიან კარგად მახსოვს უშანგის სახის გამოუმეტყველება, როდესაც ელოდა მამასგან აზრის გამოთქმას, მამამ უთხრა – „ჩემო უშანგი, ნაშრომი უღაოდ ძალიან შთაბეჭდილი და მნიშვნელოვანია ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის, მაგრამ ეხლავე უნდა შეურედე იმ რეაქციას, რაც მას მოჰყვება ძალიან ეჭვი შეპარება, რომ შენს ამ ნაშრომს მიეცეს გზა და მან ხელი არ

შეუმალოს შერს ღირსეულ წინსვლასა და წარმატებასო“ უმანგის რეაქცია იყო მშვიდი, მან აუღელვებლად უსასუნსა მამას – „მე ვეღლაფერი გათვალისწინებული მაქვს, მაგრამ ჩემს პრინციპებს ვერ ვეღალატებო“ შემდგომში თუ რა მოჰყვა ამ ამბავს, იმდროინდელ საზოგადოებას ყველას კარგად ახსოვს მოუხედავად ვეღლაფერისა, უმანგი საბოლოოდ ცნობილი გახდა თავისი საქმის პრინციპების მატარებელ პროფესიონალად

მინდა გაეხსენო ერთი ჩემთვის ღირსეისანიშნავი ცხოვრებისეული ეპიზოდი, რომელიც უმანგის მონაწილეობით დამშვენდა 1968 წელს მესტუმრა მეტად საპატიო უცხო სტუმარი ლენინგრადიდან. ეს გახლდათ ქ ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის თერმულ დაზიანებათა კათედრის გამგე, პლასტიკოსი ქირურგი, პროფესორი ტუვი იაკობის ძე არიევი იგი საბჭოთა კავშირის პერიოდში დაჯილდოებული იყო სტალინის სახელობის პრემიით, იყო მედიცინის გენერალი, უპარტიო და ამასთანავე საზოგადო მოღვაწე; წლები ის განმავლობაში არჩეული იყო ქ ლენინგრადის ლიტერატურული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და მაღალ დონეზე ასრულებდა აღნიშნულ მოვალეობას, იგი პირველად ესტუმრა საქართველოს და ძალიან აინტერესებდა ვეღლაფერი გადაეწყვიტე მისთვის შემეხვედრებინა უმანგი, რომელსაც ეთხოვე, რომ ისტორიული ადგილების დათვალიერებისას მისთვის ჩვეული ერთგულებითა და ენთუზიაზმით მოეთხორო ჩვენი ისტორია პირველი ჩვენი გაკვირვება გამოიწვია ეპიზოდმა, რომელიც აეროპორტში დახვედრისას ჩვენ სტუმრებს და მის შეგობარ ქალს, პროფესიით ფილოლოგს – ფეილოროვას შეეხებოდა, შესვედრისთანავე მე სტუმრებს „ვეფხისტყაოსნის“ მიკროფორმატის გამოცემა რუსულ ენაზე ვარუქე უმანგიმ გადმომილაპარაკა, – კარგი საჩუქარია, თუ მიხვდებიანო ამ დროს მათ შორის გაიმართა დისკუსია-მსჯელობა და დავა იმის შესახებ, რომ ზაპოლოცკის რუსული თარგმანი ჯობდა თუ შალვა ნუცუბიძისა, მოჰყავდათ ციტატები და მსჯელობდნენ ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და უმანგიზე, არ გვეცნა, თუ ასე ღრმად იყვნენ ჩაწვლილნი „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანებს მეორე დღეს სტუმრები წაეფეცანეთ მცხეთაში სვეტიცხოვლის ტაძრისა და ჯვრის მონასტრის დასათვალიერებლად მანქანაში სტუმრებისეუ მოთხოვნით უმანგი

მთელი გზა უკითხავდა ლადო ასათიანის ლექსებს, მე შევეკითხე. – „აი, მაგრამ რას გებულობენ ამ წაკითხვით?“ – „რას გებულობენ და ლექსიკის მუსიკალურობასო“ – მიპასუხა მან უმანგი აღფრთოვანებასა და კმაყოფილებას ვერ ფარავდა, იმით ეყო განარებული, რომ ასეთ პიროვნებასთან მჭონდა ურთიერთობა. უშანგის ყოველთვის უამაყებოდა მგობრებისა და ამხანაგების წარმატება, იგი ჩემს მესსიერებამი დარჩება როგორც უზწიკლო, დიდი ადამიანი და უსაყვარლესი მეგობარი.

ბესიკ იაშვილი
საქართველოს მედიცინის აკადემიის აკადემიკოსი,
პროფესორი

ფ

ლიტერატურა

არქივი.

- 1 საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 17, აღწერა 52, საქმე 49
- 2 საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 17, აღწერა 532, საქმე 57
- 3 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური არქივი, უშანგი ხელაშინიძის პირადი საქმე, ფონდი 9, აღწერა 2 შესანიშნავი ერთეული 424
- 4 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური არქივი, ასპირანტურის საქმე, უშანგი ხელაშინიძე, ფონდი 1/5 შესანიშნავი ერთეული 676
- 5 უშანგი ხელაშინიძის პირადი არქივი.
- 6 კოტე ანიაძის პირადი არქივი

უშანგი ხელაშინიძის შრომები.

- 1 საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917-1921 წწ.), თბ., 1970
- 2 ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები, თბ. 1978.
- 3 ქალაქის თეოიმპარტოვლობის მოსამსახურეთა 1919 წლის მარტის გაფიცვა თბილისში – ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის V სამეცნიერო სესია, თბილისი, თბ., 1959
- 4 თბილისის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა პერიოდში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის მწვემოების ბატონობის პერიოდში – წიგნი „თბილისი, რევოლუციური წარსული“, თბ., 1959
- 5 К истории закавказских федераций советских республик – «История СССР», 1961, №1
- 6 ამერკავკასიის ხალხთა მფობრობა სოციალიზმის ებოქსში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვეთი II, თბ., 1961
- 7 Грузины – народные мстители – «Вестник военно научного общества», 1961, №2 3
- 8 Грузинская историческая наука в период между XX и XXIII съездами КПСС – «История СССР», 1962, №3
- 9 ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრლობის მეზღვომ მუშაობაში – „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრლობა და ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია“, თბ., 1962

10 Изучение истории Грузии в период завершения строительства социализма – წიგნი «Грузинская советская историография», Тბ., 1964

11 Борьба тбилисских трудящихся за победу советской власти – წიგნი «Революционное прошлое Тбилиси», Тბ., 1964

12 ა ვინეველადე, უ სიღამინიძე ქართველების მონაწილეობა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პარტიზანულ ბრძოლებში – ის ქართული დივიზიები საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში, თბ., 1965

13 ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფია (1917 წ.) – ივ ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესია თბ., 1966

14 ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წ.) – წიგნი „ქართული ისტორიოგრაფია“, თბ., 1968

15 ისტორიკოსის ბილიოთეკა – წიგნი 5 ჟორდანია „ჩემი წარსული“, თბ., 1990

16 1917 წელი და საქართველოს ეროვნული მოძრაობა – „ლიტერატურა და ხელოვნება“ 1990 №2

ბ

საგანთო სტატიები

1 ოქტომბრის პირში – გარდაქმნით დაბრუნებული, 1918 წლის 26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოების აღდგენის დღეა – „კომუნისტი“, 1988 წლის 28 მაისი

2 პირველი რესპუბლიკა, ინტერვიუ პროფ. უმანგი სიღამინიძისთან და პროფ. გურამ ყორანაშვილთან – „სამშობლო“ 1989 წ. 26 მაისი.

3. ეროვნული საბჭო – საქართველოს პარლამენტი – კომუნისტი 1990 წ. 26 მაისი.

გარდა ამისა, უმანგი სიღამინიძეს გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული ნაშრომი „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“

რეზიუმე

1 Образование ЗСФСР и ее роль в деле восстановления народного хозяйства Закавказья (1921-1925 гг.), – Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук Тб., 1956

2 Историография буржуазно-демократического движения и победы социалистической революции в Грузии (1917-1921 гг.) – Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук, Тб., 1971

უშანგი ხილამონიძისადმი მიძღვნილი შრომები.

1 მ. კალანდიაძე, პროფესორი უშანგი ხილამონიძე – კრებული, მიძღვნილ უშანგი ხილამონიძის ხსოვნისადმი, თბ., 2002

2 ზ. სამადაშვილი, კვლევზე ამოკანონული სათქმელი – „მამული“, 1990წ მაისი.

3 დ. შველიძე, ნ. კორიაძე, გეცნიერი და მოქალაქე – „ლიტერატურული საქართველო“, 1997წ., 5-12 დეკემბერი.

4 გ. ყორანაშვილი, გეცნიერის გახსენება – „საქართველო“, 1998 წ., 21 23 აპრილი

5 ნ. ნათაძე, გამოსათხოვარი – „საქართველო“, 1997წ 17 23 ნოემბერი.

6 გ. მელიქიშვილი, ინტერვიუ აკად. გ. მელიქიშვილთან – წიგნში „ძებნანი საქართველოს, კაცასიხსა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში“, თბ. 1999 წ

სარჩევნო

თავე I პირობრაფიული ცნობები	3
თავე II უშანები სიდაგონიბის პრეზენსიონალ ინტერნიკონსად ფორმირება	14
თავე III შემრეშედეგბიტი მშვერვალზე	27
თავე IV შმრისს ული და რეაბილიტირება ული ინტერნიკონსი	39
ლტერატურა	83

გამომცემლობის რედაქტორი	მ ვარამაშვილი
ტექნიკური რედაქტორი	ფ პუღლაშვილი
კორექტორი	ნ გაშაკიძე

ხელმოწერილი დასაბეჭდად 21.03 05
საბეჭდი ქაღალდი 60x84
პირ ნაბეჭდი თაბანი 5,5
საღარ-საგამომცემ თაბანი 3,91
შეცვეთა № 30 ტირაჟი 250
ფასი სახელშეკრულები